სარკიელი

ეროვნული ბიბლიოთეკა

სპორტული გაზეთი ხუთშაბათი 19 იანვარი 2006 №10 (2632) ფასი 50 თეთრი

უცნაური კომპლიმენტი შტეფან ვეხტერისთვის

ძნელი დასაჯერებელია თუ არა, ფაქტია, საქართველოს ნაკრებში გერმანელი მეკარის ჩამოყვანის საკითხი სადღეისოდ ნომერ პირველი თემაა და ფეხბურთის ფედერაციამ ამის თაობაზე კლაუს ტოპმიოლერს სრული კარტ-ბლანში მისცა.

გუშინ მანჰაიმში ფედერაციის პრეზიდენტი ნოდარ ახალკაცი ტოპმიოლერს შეხვდა და ეჭვი გვაქვს, სხვა საკითხების გარდა ამ თემაზეც ესაუბრა. ჩვენ კი გუშინვე „ჰამბურგის" კარის დარაჯ შტეფან ვეხტერს დავუკავშირდით. 27 წლის გერმანელი მეკარე შარშან სწორედ ტოპმიოლერის შეგირდი იყო და, ბუნებრივიცაა, მისი კანდიდატურა ჰერ კლაუსის ბლოკნოტში ეწერის. გასაგებად რომ ვთქვათ, ჩვენ არაფერს ვამტკიცებთ, მაგრამ მიზანშეწონილად ჩავთვალეთ, სწორედ ვეხტერისგან გაგვეგო, რას ფიქრობს იგი საქართველოში ჩამოსვლაზე.

— საქართველოს ნაკრების თავკაცად თქვენი ყოფილი მწვრთნელი კლაუს ტოპმიოლერი რომ დაინიშნა, გეცოდინებათ...

— დიახ, ეს ვიცი.

— საქართველოს ფეხბურთის ფედერაციას და კლაუს ტოპმიოლერს აქვთ იდეა, საქართველოს ნაკრებში უცხოელი მეკარე მოიწვიონ და ჩვენი აზრით, არის შანსი, ეს მეკარე სწორედ თქვენ იყოთ...

— მართლა? პირველად მესმის, ასეთი რამ არ გამიგია...

— თქვენ რომ შემოგთავაზონ ასეთი წინადადება, რას იტყვით?

— ჩემი სურვილია, გერმანიის ნაკრების მაისურა მოვირგო.

— გასაგებია, მაგრამ, რომ შემოგთავაზონ?

— უცნაურია. რა გითხრათ, არც ვიცი... თუ მართლა ასეა, ეს ჩემთვის ძალიან დიდი კომპლიმენტია...

— ანუ?

— ვერაფერს გეტყვით. ეს ისეთი თემაა, რომ ასე უცებ ვერაფერს გიპასუხებთ...

მაია ანჩაბაძე

ეგრე ნუ გაგვალვიძებთ!

ბაჩანა დოლიძეისაგან ფოტო

იმდენი ვიძახეთ, ქორქია-საკანდელიძის მემორიალზე მოსაბეზრებელი თამაშებია, ხალხს ტრიბუნაზე ეძინებაო, რომ გუშინ ერთბაშად იფეთქა დაძაბულობამაც და ვნებათაღელვამაც. ჯგუფური ეტაპის ბოლო ტურში ორი ნახევარფინალის საკადრისი მატჩი გაიმართა, რომლებშიც ერთმანეთს მანამდე დაუმარცხებელი გუნდები ეჯიბრებოდნენ. რკენა გამოვიდა, მაყურებლის მრწონებული, არც დაძაბულობა იყო სანთლით საძებარი და ქართულ კალათბურთთან დაძმობილებული მუშტი-კრივიც ვიხილეთ. ჩხუბი იქით იყოს და, მთავარი ის გადატრიალებაა, რომელიც გუშინ ქართულ გუნდებში მოხდა. ეროვნული ჩემპიონატის ლიდერები, „თსუ-ნიკორა" და „ავიამშენი" ქვედა ეშელონის გუნდებმა შეიწირეს. სტუ-მ ავიატორები, რუსთაველებმა კი ჩემპიონატის წაუგებლად მოლიდერე თსუ დაამარცხეს და მოულოდნელი ფინალიც გამოცხვა: ხვალ ვერის ბაღში მემორიალური ტურნირის პირველი გამარჯვებული სტუ-სა და გვარიანად მომძლავრებულ „აზოტს" შორის გამოვლინდება.

მალტა, მოლდოვა და ლიბია გუცაევის ტურნირზე

ტოპის არატოპი მეტოქეები

მალტის ტურნირს „ტა ქალი“ უმასპინძლებს

კლაუს ტოპმიოლერს საქართველოს ნაკრებში პირველი გამოცდა ლიბიასთან, მოლდოვასთან ან მალტასთან ექნება. სანდო წყაროდან გავიგეთ, რომ მალტის ოთხგუნდა ტურნირზე ქართველთა მეტოქეები სწორედ ესენი იქნებიან. თუმცა თავს ვერ დავდებთ — შესაძლოა, 27 იანვრის კენჭისყრის შემდეგ მონაწილეები შეიცვალოს.

გეცოდინებათ, ტურნირი წრიული იქნება და სამ ტურად გაიმართება — მატჩები 25, 27 თებერვალს და 1 მარტს გაიმართება.

აქვე შეგახსენებთ, რომ საქართველოს ნაკრებს მალტის ტურნირი ერთხელ უკვე მოუგია: 1998 წელს ვლადიმერ გუცაევის თავკაცობით.

წლევანდელ სამალტო კამპანიას თუ გადავხედავთ, კლაუს ტოპმიოლერს იღბლიანი დებიუტის მოწყობა ბავისუფლად შეუძლია, თუმცა ისიც ნათელია, რომ ამ ტურნირზე შედეგს დიდი მნიშვნელობა არ ენიჭება.

ლიბიის ნაკრები, რომელსაც ხორვატი ილია ლონჩარევიჩი წვრთნის, ახლახან დაწყებული აფრიკის თასის ერთ-ერთი აუტსაიდერია, თუმცა ფიფას რეიტინგში საქართველოზე მაღლა დგას (მე-80 ადგილზეა). მოლდოვა და მალტა შედარებით ნაცნობი მეტოქეები არიან და ბარემ ისიც ვთქვათ, რომ კუნძულელებს რამდენიმე დღის წინ ახალი მწვრთნელი დაუნიშნეს — ჩეხი დუშან ფიცელი.

ილია ნანობაშვილი

აზერბაიჯანელთა ახალგაზრდული დესანტი

როგორც იცით, საქართველოს ახალგაზრდული ნაკრები 7 და 9 თებერვალს აზერბაიჯანელ თანატოლებს უმასპინძლებს.

საამმატჩოდ ჩვენმა მეზობლებმა შემადგენლობა დაასახელეს, მწვრთნელ ნაზიმ ალიევს თბილისში 24 ფეხბურთელი მოჰყავს: *რომალ ჰუსეინოვი, ელნურ აბასოვი, მურად აგაკიშიევი, რაშად ქარიმოვი, ბაჰრუზ ზეინალოვი, ვასიფ ალიევი, პარვინ მადათოვი, ელნურ მამადოვი, ეუგარ ნადიროვი, დანიელ აჰტიამოვი, ასიფ მამადოვი, ილგარ ყურბანოვი, კამრან აგაევი, დავიდ ქარიმი, ანარ ნაზიროვი, საშა იუნისოღლუ, ჯეიჰან ადიშირინოვი, ჰუსეინ ისკანდეროვი, ნამიგ თუსუფოვი, რაილ მალიქოვი, რუსლან ამირჯანოვი, ორხან აგაარზადე, ნამიგ გასიმოვი, საბუჰი ჰასანოვი.*

საქართველო მეხუთეა... მეორე ასეულში

იანვარში საქართველოს ნაკრები „ფიფა-კოკა-კოლას“ რეიტინგში ერთი საფეხურით დაქვეითდა — 105-ე ადგილზეა. ცოტა ეჭვი გვეპარება, ასეთ დაბალ პოზიციაზე მყოფ ევროპულ ნაკრებს ჩემპიონატის ფინალურ ეტაპზე გაეღწია, მაგრამ რეიტინგი ერთია და მინდორზე გასვლა და თამაშის მოგება მეორე...

რეიტინგის ზედა ათეულში დიდი ცვლილებები არ მომხდარა — პირველზეც ისაა, ვინც კარგა ხანს კიდევ პირველზე იქნება — ბრაზილია.

ლუკა თალაკვაძე

1	(1)	ბრაზილია	839
2	(2)	ჩეხეთი	796
3	(3)	ჰოლანდია	790
4	(4)	არგენტინა	772
5	(5)	ესპანეთი	768
	(5)	საფრანგეთი	768
7	(5)	მექსიკა	767
	(8)	აშშ	767
9	(9)	ინგლისი	757
10	(10)	პორტუგალია	753
34	(34)	რუსეთი	661
40	(40)	უკრაინა	629
61	(61)	ბელარუსი	570
66	(69)	ლატვია	560
76	(76)	ესტონეთი	543
102	(100)	ლიტვა	463
105	(104)	საქართველო	458
107	(107)	მოლდოვა	441
108	(108)	სომხეთი	431
114	(114)	აზერბაიჯანი	394
137	(137)	ყაზახეთი	314

I გრაფა – ადგილი; II – ადგილი წინა თვეში; III – ქვეყანა; IV – ქულა

საფრანგეთი

ლიგის თასი მეოთხედფინალი

ნანსი 1:0 აიაჩო

ტულუზი 0:2 მონაკო

ესპანეთი

თასი მეოთხედფინალი პირველი მატჩები

კადისი 0:2 ესპანიოლი

ბეტისი 0:1 რეალი

თასი მერვედფინალი •საპასუხო მატჩი

სარაგოსა 2:2 ატლეტიკო (1:0)

იტალია

სერია A. XX ტური

მილანი 1:0 ასკოლი

რომა 3:1 რეჯინა

კალიარი 1:0 სიენა

კიევო 1:1 იუვენტუსი

ემპოლი 1:1 უდინეზე

ლეჩე 0:0 ლივორნო

მესინა 1:1 ლაციო

პალერმო 4:2 პარმა

სამპდორია 3:1 ფიორენტინა

ტრევიზო 0:1 ინტერი

სერია B. XXIV ტური

რიმინი 0:0 ბრეშა

ტორინო 1:2 არეცო

სერია C1/B გადადებული მატჩი

ლანჩანო 0:1 ლუკეზე

ჰოლანდია

ერედივიზიონი გადადებული მატჩები

ალკმაარი 3:1 დენ ჰაგი

სპარტა 1:3 ნაიმეგენი

ინგლისი

მეორე ლიგა გადადებული მატჩი

ბოსტონი 0:5 კარლაილი

ასოციაციის თასი ოცდამეთორმეტედფინალი გადათამაშება

ევერტონი 1:0 მილუოლი

მანჩესტერი 5:0 ბარტონი

ამსანაგური მატჩები

იორდანია 0:2 კოტ დივუარი

მაროკო 2:2 ანგოლა

მარცვალაძემ კიევი მოსკვასთან დაინახა

აბუ-დაბიში კიევის „დინამოსთან“ ერთად შეკრებაზე მყოფმა ოთარ მარცვალაძემ გუშინწინ მოსამზადებელი ეტაპის პირველი მატჩი ითამაშა და ჩვენი უკრაინელი კოლეგებისგან საკმაოდ მაღალი შეფასებაც დაიმსახურა. „დინამომ“ „მოსკვა“ 1:0 დაამარცხა. ოთარმა, მართალია, მოედანზე სულ 45 წუთი დაჰყო, მაგრამ პარტნიორთაგან ერთ-ერთი გამორჩეული იყო. თანაც, აღსანიშნავია, რომ „დინამოს“ მწვრთნელმა ანატოლი დემიანენკომ შესვენებაზე შემადგენლობა მთლიანად შეცვალა და მარცვალაძე იმ ფეხბურთელთა შორის ათამაშა, რომლებიც გუნდში ამინდს ჰქმნიან...



— დიახ, ასე იყო, მეორე ტაიმში პირობითად ძირითადმა შემადგენლობამ ითამაშა და ცოტა გამიკვირდა კიდეც, მწვრთნელმა მეც მათ შორის რომ დამასახელა. „მოსკვას“ „დინამომ“ ერთადერთი გოლი შესვენებამდე გაუტანა, მაგრამ, თამაშის ხარისხი მეორეში უკეთესი იყო, ასე თქვეს მატჩზე დამსწრეებმა.

— მატჩის სანახავად მოსკოვის „ლოკომოტივის“ ქართველებიც უნდა ყოფილიყვნენ...

— იყვნენ კიდეც. მალხაზ ასათიანი და გიორგი ჭელიძე თამაშის მერე ვნახე, მაგრამ სასაუბროდ დიდი დრო არ გვქონია, ერთმანეთი მოვიკითხეთ.

— შენი თამაშით კმაყოფილი ხარ?

— მგონი, ურიგოდ არ მითამაშია. რამდენიმე კარგი მომენტიც მქონდა, რომლებიც თავადვე შევქმენი, მაგრამ ბოლოს აღარ გამიმართლა.

— რომელ პოზიციაზე ითამაშე?

— სამი თავდამსხმელი ვიყავით, მე მარცხნიდან ვუტევდი. ასე ვთქვათ, ჩემი ამპლუა არ შემიცვლია. მომავალში როგორ იქნება, ვერ გეტყვით.

— აბუ-დაბიში კიდევ უნდა ითამაშოთ?

— 20 და 23 იანვარს. ერთ-ერთი მეტოქე „ციურიხი“ იქნება, მეორის ვინაობა კი ჯერ უცნობია. შესაძლოა „ლოკომოტივსაც“ ვეთამაშოთ.

— როგორი შთაბეჭდილება დაგრჩა, კიევის „დინამო“ რაიმე განსაკუთრებულ ფეხბურთს თამაშობს?

— ისეთი არაფერი ყოფილა, გამკვირვებოდა. ერთი ეგაა, უდიდესი ფიზიკური დატვირთვებია. მატჩისას კი წამით ამოსუნთქვის საშუალება არ გაქვს. სულ უნდა ირბინო — ასეთია კიეველთა მოთხოვნა და ალბათ, ამიტომაცაა ეს გუნდი ძლიერი.

— გიჭირს ასეთი დატვირთვის ატანა?

— არც ისე, გუნდთან ერთად ვვარჯიშობ და რასაც სხვა აკეთებს, იგივეს ითხოვენ ჩემგან. მგონი, ჯერჯერობით ყველაფერი კარგადაა, შეკრების შემდეგ კი ვნახოთ...

— რა უნდა ვნახოთ?

— შეკრებას 23 იანვარს ვამთავრებთ. კიევში დავბრუნდებით და საბოლოო პასუხიც მაშინ მექნება.

— შენ იმედიანად ხარ?

— ყოველ შემთხვევაში, ვფიქრობ, რომ კიევის „დინამოში“ თამაში შემიძლია, დანარჩენს კლუბის ხელმძღვანელობა გადაწყვეტს.

კობა ინასარიძე

თანამეგობრობის თასი 2006

მეოთხედფინალი

ცსკა (რუსეთი) 3:1 **მეტალურგსი** (ლატვია)

ფახთაძორი (უზბეკეთი) 0:0 (პენ. 2:4) *ნეფთჩი (აზერბაიჯანი)*

შახტარი (უკრაინა) 1:3 *პუნიკი (სომხეთი)*

კაუნასი (ლიტვა) 1:1 (პენ. 5:3) **შერიფი** (მოლდოვა)

ნოდარ ახალკაცი

შეხვედრა მანჰაიმში

მეორე თანაშემწე გერმანელი და მენეჯერი იქნება

საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტი ნოდარ ახალკაცი გერმანიაშია და საქმიან შეხვედრებს მართავს. გუშინ ახალკაცი ჩვენი ეროვნული ნაკრების თავკაც კლაუს ტოპმიოლერს შეხვდა და ჩვენც ამიტომ დავუკავშირდით...

— ტოპმიოლერს დღეს შევხვდი მანჰაიმში. ვისაუბრეთ სხვადასხვა სამუშაო დეტალების შესათანხმებელად, შეხვედრა გვქონდა იურისტებთანაც.

— ტოპმიოლერს ჩვენი ნაკრებისთვის მეკარის ნატურალიზაციის თაობაზე თუ ესაუბრეთ?

— ასეთი იდეა საქართველოს ფეხბურთის ფედერაციაში მართლაც არსებობს, მაგრამ ჯერ ტოპმიოლერი თვითონ უნდა დააკვირდეს ქართველ მეკარეებს და მერე მოგვახსენებს საკუთარ აზრს მეკარის ნატურალიზაციაზე.

— ტოპმიოლერს უკვე ჰყავს თანაშემწე რალფ მინგე, მაგრამ ვინ იქნება მისი მეორე თანაშემწე?

— ტოპმიოლერის მეორე თანაშემწეც გერმანელი იქნება, მისი ვინაობა თებერვლამდე უნდა გაირკვეს.

— ალბათ, თებერვლამდე გაცხადდება, თუ ვინ იქნება ნაკრების მენეჯერიც...

— ტოპმიოლერთან შეხვედრისას გადაწყდა, რომ მისი მეორე თანაშემწე პარალელურად შეასრულებს ნაკრების მენეჯერის ფუნქციას. მოკლედ, ჩვენი ეროვნული ნაკრების სამწვრთნელო შტაბი თებერვლამდე უკვე სრულად უნდა ჩამოყალიბდეს.

— ბარემ ასაკობრივ ნაკრებებზეც ვთქვათ — კობა ჟორჟიკაშვილი 19 და 21-წლამდელთა ნაკრებებსაც წვრთნის და „ზესტაფონი 2"-საც — ყველაფერი ასე დარჩება?

— ჯერჯერობით ასეა, ფედერაციის აღმასკომმაც ასე გადაწყვიტა და დანარჩენს დრო გვიჩვენებს. ჟორჟიკაშვილი სამი გუნდის მწვრთნელი კია, მაგრამ ამ სამ გუნდში ფეხბურთელთა თითქმის ერთი და იგივე ბირთვია თავმოყრილი, ნაკრების ინტერესები საფრთხის ქვეშ არანაირად არ დაგვიყენებია. ასეთი მოდელი ჯერჯერობით ამართლებს, რადგან 19 და 21-წლამდელთა ნაკრების ფეხბურთელებს სრული სათამაშო პრაქტიკა აქვთ.

— გერმანიაში სხვა საქმიანი შეხვედრებიც გექნებათ...

— შევხვდი საქართველოს ნაკრების ტექნიკური სპონსორობის მსურველ გერმანული კომპანიების წარმომადგენლებს. 27 იანვრის შემდეგ, როცა ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი ეტაპის კენჭისყრა გაიმართება, სამომავლო სპონსორთან მოსალაპარაკებლად მეტი ვარიერების საშუალება გვექნება.

— მას შემდეგ, რაც ჩვენი ნაკრების თავკაცი ტოპმიოლერი გახდა, ჩვენი სპონსორობის სურვილი, ალბათ, უფრო გაეზარდათ სხვადასხვა კომპანიებს...

— რა თქმა უნდა, ასეა. ახლა ჩვენი სპონსორობით გერმანულის გარდა სპორტული ინვენტარის მწარმოებელი სხვა კომპანიებიც დაინტერესდნენ.

დავით თამგართქილაძე

სამტრედიელი დანკო ზესტაფონში

გიორგი ჭელიძე ფეროელებმა დააადასტურეს

დინამოელი გიორგი ჭელიძე (№16) ალბათ „ზესტაფონში" გადავა

თემურ მახარაძის „ზესტაფონი" თბილისში აგრძელებს მზადებას და დღეს, 12 საათზე „ნორჩი დინამოელის" მინდორზე ბოლნისის „სიონს" ეთამაშება საკონტროლო მატჩში. ჯერჯერობით უცნობია, 31 იანვრამდე ფეროელები კიდევ რამდენ ტესტ-მატჩს ჩაატარებენ, 31-ში კი, მოგეხსენებათ, დუბაიში მიდიან ორკვირიან შეკრებაზე.

ახლა „ზესტაფონში" მომხდარ სატრანსფერო სიახლეებზე: კლუბის პრესატაშე სერგო ფუტკარაძის ცნობით, მეკარე გია ჭანტურიას საკითხი საბოლოოდ ამ დღეებში გადაწყდება, ასევე მიმდინარეობს მოლაპარაკება თბილისის „დინამოს" ნახევარმცველ გიორგი ჭელიძესთან. საქმეს ისეთი პირი უჩანს, ორივე ტრანსფერი უპრობლემოდ შედგება.

მათ გარდა, თემურ მახარაძის გუნდში გასინჯვაზე არიან ვლადიკავკაზის „ალანიას" ახალგაზრდულ გუნდში ნათამაშევი ქერაშვილი და სამტრედიაში დაბადებული, რუსეთის ერთ-ერთი გუნდიდან წამოსული ფეხბურთელი, გვარად დანკო, რომელიც საქართველოს 21-წლამდელთა ნაკრებთან შეხვედრაში „ზესტაფონის" განაცხადში იყო, მაგრამ არ უთამაშია.

ჯერჯერობით სულ ესაა... უფრო სოლიდურ შევსებას კი „ზესტაფონში", ალბათ, დუბაის შეკრებაზე უნდა ველოდოთ.

ილია ნანოგაშვილი

ეს არის ამხანაგური?!

ზვიად ქუთათელაძემ (№10) ბათუმელები არ დაინდო

ბადრი ჯიმლაძის ფოტო

„კოლხეთი" სამეორეწრეოდ ფოთში აგრძელებს მზადებას. გუშინწინ ფოთელები „ბათუმს" ესტუმრნენ და ამხანაგურ მატჩში 7:1 იმარჯვეს — ორი გოლი ზამირ ჯანაშიამ გაიტანა, ზვიად ქუთათელაძემ კი სულაც ჰეთ თრიქი შეასრულა.

„კოლხეთის" ტექნიკური დირექტორის, ლევან სართანია თქმით, ამჟამად გუნდში 45 ფეხბურთელი ისინჯება, თუმც შემადგენლობა მომავალ კვირაში გაიცხრილება. ამის შემდეგ შესაძლოა „კოლხეთი" რამდენიმედღიან შეკრებაზე ქობულეთში ან ურეკში გაემგზავროს.

რაც შეეხება მომავალ საკონტროლო შეხვედრებს, დღეს სოსო ფილიას ბიჭები „სამტრედიას" გაეჯიბრებიან, 24 და 27 იანვარს კი ორჯერ დაუპირისპირდებიან ქუთაისის „ტორპედოს".

გიორგი ნოზაძე

ლოკომოტივმა ფანჯარა დახურა

თბილისის „ლოკომოტივი" ალბათ პირველია უმაღლესი ლიგის ბინადართაგან, რომელმაც სატრანსფერო საქმიანობა დასრულებულად გამოაცხადა. გუნდის მთავარმა მწვრთნელმა სოსო სირაძემ უკვე შეარჩია 22 ფეხბურთელი, რომელთაც მეორე წრეში დაეყრდნობა.

ძველი შემადგენლობიდან გუნდში დარჩნენ კახელიშვილი, რამონი, ფურთუხია, ჩივაძე, ყიფიანი, თავბერიძე, ჩალაძე, ალავერდაშვილი, ლომიძე და ფოფხაძე. ბოლნისის „სიონიდან" დაბრუნდა ავალიანი. ამას გარდა, გუნდთან ერთად „ლოკომოტივი 2"-ის ექვსი ფეხბურთელი ვარჯიშობს, დანარჩენები კი ჭაბუკთა გუნდიდან დაემატნენ ძირითადს. ყველა ეს ფეხბურთელი ამჟამად სირაძის განკარგულებაშია კახელიშვილისა და რამონის გარდა — ისინიც უახლოეს დღეებში შეუერთდებიან გუნდს.

სადღეისოდ „ლოკომოტივი" ლიკანში იმყოფება — 17 იანვარს დაწყებული შეკრება 27-მდე გასტანს. ლიკანში საკონტროლო შეხვედრების დაგეგმვას აზრი არ აქვს, რადგან ბორჯომის ხელოვნურსაფარიანი მოედანი თოვლითაა დაფარული და იქ თამაში შეუძლებელია.

27 იანვარიდან კი გუნდი თბილისში გააგრძელებს მზადებას.

გიორგი ნოზაძე

თქვენი ინტერვიუ

კლაუს ტოპმიოლერთან

თქვენთვის კარგად ნაცნობი ამ რუბრიკის მორიგი რესპონდენტი საქართველოს ნაკრების ახალი მწვრთნელი კლაუს ტოპმიოლერი იქნება.

კითხვები 5 თებერვლის ჩათვლით უნდა მოგვაწოდოთ და ჰერ კლაუსთან ინტერვიუ არაუგვიანეს 12 თებერვლამდე გამოქვეყნდება.

იაქტიურეთ!



მოგვმართეთ! ტელეფონი: 93 16 08; ელექტრონული ფოსტა: Starmail@Caucasus.net

ვალერი ჩუხრი: ბაზა მოთხოვნებს პასუხობს

ფიფას რესურსები შეუზღუდავი არ არის

თებერვალში საქართველოს ფიფას დახმარების პროგრამების მენეჯერი ევა პასკიე და ამავე ორგანიზაციის მოსკოვის ბიუროს თავკაცი ვალერი ჩუხრი ესტუმრებიან. განსახილველ საკითხთა შორის არსებული სანაკრებო ბაზის სადღეისო მდგომარეობა და ნოდარ ახალკაცის მიერ გაჟღერებული ახალი ბაზის მშენებლობის გეგმა იქნება. ვალერი ჩუხრის პირველ რიგში ახალკაცის გეგმის თაობაზე ვთხოვეთ კომენტარი...

ბადრი ჯობილაძის ფოტო

— პატივს ვცემ საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტის აზრს და წარმატებებსაც ვუსურვებ, თუმცა ამ საკითხზე განსხვავებული მოსაზრება მაქვს. საქართველოს ნაკრების ბაზის მშენებლობაში დიდი შრომა და ფინანსები ჩაიდო. ფიფას დიდი ძალისხმევით მოხერხდა ამ პროექტის განხორციელება, მნიშვნელოვანი როლი ითამაშა უეფას დახმარებამაც. პროექტით გათვალისწინებული ყველა სამუშაო ბაზაზე აუცილებლად უნდა დასრულდეს, უფრო მასშტაბურ პროექტებზე კი ამის შემდეგ შეიძლება ფიქრი. როგორც ამბობენ, „ლუჩშე სინიცა ვ რუკახ, ჩემ ჟურავლ ვ ნებე“.

— ნოდარ ახალკაცის აზრით, თანამედროვე სანაკრებო ბაზას სულ მცირე ექვსი მოედანი მაინც უნდა გააჩნდეს...

— მოედანი რაც მეტი იქნება, მით უკეთესი, მაგრამ ამ შემთხვევაში ჩვენ აუცილებელ მინიმუმზე ვსაუბრობთ. თქვენი კლიმატისთვის ორი მოედანი სავსებით საკმარისია და ბაზა სავსებით პასუხობს ნაკრები გუნდის მოთხოვნებს. გასათვალისწინებელია ისიც, რომ სანაკრებო ბაზაზე მოედნები ნაკლებადაა დატვირთული. როცა სტანდარტული ხელოვნურსაფარიანი მოედანი გაკეთდება, ნებისმიერ ამინდში შესაძლებელი იქნება საწვრთნელი პროცესის წარმართვა.

...თქვენ ფიქრობთ, ყველა ქვეყნის ფეხბურთის ფედერაციას და ნაკრებს გააჩნია საკუთარი ტექნიკური ცენტრი? თუნდაც რუსეთის საფეხბურთო კავშირი ავიღოთ — ნაკრებისთვის ბაზა ოჯარით აქვს აღებული. „ვოლი 2“-ის პროექტში სულ 60 ქვეყნის ფედერაცია მოხვდა და მათ შორის საქართველო. რაც მთავარია, თქვენთან პროექტი წარმატებით ხორციელდება და საქართველო ხშირად მაგალითად მოგვყავს სხვა ქვეყნებისთვის.

— თქვენი საუბრიდან შეიძლება ვიფიქროთ, რომ საქართველოში ახალი ბაზის მშენებლობის წინააღმდეგი ხართ...

— არავითარ შემთხვევაში. ამ ჩანაფიქრს მხოლოდ მივესალმები, მაგრამ ამ საქმეს კიდევ უფრო დიდი შრომა და ფინანსები სჭირდება, ფიფა-ს რესურსები კი სულაც არ არის შეუზღუდავი. თუ საქართველოს ფეხბურთის ფედერაცია შეძლებს სპონსორთა მოძიებას ან სახელმწიფოსგან დახმარების მიღებას, ჩვენი შესაძლებლობის ფარგლებში გვერდში დავუდგებით.

— თებერვალში თბილისში აპირებთ ჩამოსვლას. ვიზიტის მიზანი ახალი ბაზის პროექტზე მსჯელობაა?

— რამდენიმე წუთის წინ ველაპარაკე უეფას ექსპერტს მოედნების დარგში. თბილისშიც მასთან ერთად ჩამოვალ. ვიზიტის მიზანია, ბაზაზე არსებულ ვითარებას გავეცნოთ. შესაძლოა, ხელოვნურსაფარიანი მოედანი იქ მოეწყოს, სადაც ადრე ბუნებრივსაფარიანი იყო დაგეგმილი. ვნახოთ...

გიორგი ნოზაძე

ეროვნული 13 მაისს დასრულდება

პროფესიული ფეხბურთის ლიგის საშეჯიბრო კომიტეტმა, ფაქტობრივად, დაასრულა მუშაობა ეროვნული ჩემპიონატის მეორე წრის კალენდარზე. როგორც პროფლიგის პრესატაშე პაატა ბურჯალიანმა გვითხრა, მისი გამოქვეყნება მიმდინარე კვირის ბოლოს ან მომავალი კვირის დასაწყისში, ნოდარ ახალკაცთან და დიმიტრი რამიშვილთან საბოლოო კონსულტაციების შემდეგ იქნება შესაძლებელი.

მეორე წრის კალენდარში გათვალისწინებულია კლაუს ტოპმიოლერის ყველა შენიშვნა მალტის ტურნირის და ალბანელებთან დაგეგმილი ამხანაგური შეხვედრის ჩათვლით — ამ თამაშების დროს ჩემპიონატში პაუზა გამოცხადდება.

რაც შეეხება მეორე წრის თარიღებს: პირველი ტური 22 თებერვალს გაიმართება, ჩემპიონატი კი 13 მაისს დასრულდება. სეზონს საქართველოს თასის ფინალი ტრადიციულად 26 მაისს დახურავს.

გიორგი ნოზაძე

ითქვა, ამბობენ...

დილას დღითიდღე უღამდება

გორის „დილა“ ისევ უკაპიტნოდ დარჩენილი გემივითაა, მისი მიმხედი არავინ ჩანს და კლუბიც იძირება. ითქვა, თვის ბოლომდე „დილას“ სპონსორი გამოუჩნდებაო, ისიც ითქვა, თავდაცვის სამინისტრო შეიფარებს კლუბსო, მაგრამ ამდენი „ითქვა“ და „ამბობენ“ მშიერ ფეხბურთელებს გუნდში ვერ გააჩერებს.

„დილას“ მწვრთნელი ვლადიმერ ხაჩიძე ვარჯიშებს კი ატარებს, მაგრამ ოდენ 7-8 ფეხბურთელიღა შერჩენია.

— დღეს „დილა“, როგორც გუნდი და, გინდ, როგორც კლუბი, არ არსებობს. გავიგე, „დილას“ პრეზიდენტ არჩილ ბეგიაშვილს თანამდებობა დაუტოვებია...

...ხელფასებზე აღარც არის ლაპარაკი, ფეხბურთელები ფიზიკურად არ გვყავს — გვითხრა ვლადიმერ ხაჩიძემ.

ილია ნანობაშვილი

geo_geo_fan@hotmail.com

ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტმა, ვიცეპრეზიდენტებმა და სპორტის დეპარტამენტის თავმჯდომარემ თქვეს, საქართველოს ნაკრებისთვის უცხოელი მეკარის ნატურალიზების იდეა არსებობსო. ეს რუბრიკაც, აგერ მეორე წელია, კომენტარებს ეთმობა და მასში ნებისმიერ გულშემატკივარს შეუძლია აზრის გამოთქმა.

დღეს კი, როგორც ანონსში ვწერდით, უცხოელი მეკარის „გაქართველების“ თაობაზე გავეცნობით გულშემატკივართა მოსაზრებებს...

რატომაც არა?!

KING: *უცხოელი მეკარე? რატომაც არა? ეს პრაქტიკა მსოფლიოში არსებობს და სულაც არ ვთვლი, რომ მაგაში რაღაც სასირცხვილოა. თან ისიც ხომ ყველამ იცის, რომ საქართველოში ნორმალური მეკარე არაა, ისეთი, კარში დარტყმისას რომ არ გვეშინია.*

კლაუს ტოპმიოლერი მაგარი მწვრთნელია და თავისი საქმე იცის, რახან ეგ თქვა, ესე იგი, მართლა ეგრეა საქმე. მოდით, დავუჯეროთ ამ კაცს და ნულარ შევუშლით ხელს. თუ ჩემი აზრი რაღაც ნიშნავს, ჩათვალეთ, რომ უცხოელი მეკარის ჩამოყვანაში ერთი ქომაგი უკვე არსებობს.

go, go, Georgia! ბოლოს და ბოლოს დავიძრათ, რა...

კინგი სირცხვილს ახსენებს და ორიოდ სიტყვით განვავრცობ: სირცხვილი ექვს-ექვსი გოლის გაშვება და მერე არხეინად ყოფნაა, აქაოდა, არაფერი მომხდარაო.

DATOKANDELAKI: *გამარჯობა. ნაკრებს ძლიერი მეკარე რომ სჭირდება, ამაზე ორი აზრი არ არსებობს, ტოპმიოლერი გამოცდილი მწვრთნელია და თავისი საქმე იცის. თუ ის ითხოვს გამოცდილ მეკარეს, უნდა ჩამოიყვანონ აუცილებლად, თან ისეთი, ჩვენს მეკარეებს ორი თავით რომ ჯობდეს. რახან ეგ პრობლემა წამოიჭრა, ესე იგი, დღეს ტოპმიოლერი ქართველ მეკარეებში ვერ ხედავს სასურველ კანდიდატს. კი ბატონო, მარა მომავლისთვის ამან სისტემატიური სახე არ უნდა მიიღოს და მიექცეს ყურადღება საქართველოში მეკარეების სკოლას! მე, როგორც ქართველ გულშემატკივარს, ქართველი მეკარე უფრო გამიხარდება, ვიდრე უცხოელი.*

დათოს წერილიც, ისევე როგორც კინგის, ისეთებია, ვერაფერში ვეწინააღმდეგები და ისღა დამრჩენია, დავეთანხმო: რასაკვირველია, ქართულ სკოლას უნდა მიეხედოს; რასაკვირველია, კარგი ქართველი მეკარე მირჩევნია კარგ უცხოელს, მაგრამ საჭიროების შემთხვევაში არც უცხოელის გაქართველება უნდა იყოს პრობლემა.

LONG70: *სალამი „სარბიელს“! ალბანეთი — საქართველოს შემდეგ აღარ მომიწერია. განა მოსაწერი არ მქონდა?! პირიქით — უამრავი რაღ! უბრალოდ გულის მოსაფხანად და ადგილის დასაკავებლად მოწერა არ მინდოდა, პრობლემის მოგვარების თუ რაღაც მაგდაგვარის გზას ვერ ვხედავდი...*

ტოპის დანიშვნის შემდეგ კი გამოჩნდა!!! არც ისეთი მიამიტი ვარ, ვიფიქრო: ეს კაცი უცილობლად გაგვიყვანს ევროპაზე ან მსოფლიოზე-მეთქი. მე სულ სხვა რამის იმედი მაქვს — გერმანული გაუტეხელი სულის ქართულ ბურთაობასთან შერწყმის იმედი!

რატომღაც მჯერა, პირველი გოლის ფაქტორის და ა.შ. კომპლექსების მოხსნას შეძლებს ეგ კაცი. თორემ, რა დამავიწყებს 1996-ში საქართველო — ინგლისზე (გასაკვირია და, აღმოსავლეთ ტრიბუნაზე ბობოლა-ბობოლა პოლიციელებს შორის მომიწია ჯდომა, ერთი ლენერალიც კი ერია), შერინგემმა პირველი გოლი რომ გაგვიტანა, როგორ ცდილობდა ქცბაია მოედნის ცენტრიდან თამაშის განახლებამდე დანარჩენების დამშვიდება-აყოლიებას. შემეცოდა მაშინ თემური! მივხვდი, რომ დანარჩენები არაფრის ამყოლები არ იყვნენ.

არ (ვერ) მოვითხოვ, საქართველოს ნაკრებმა თავდადების ის სასწაული გაიმეოროს და საფრანგეთის ნაკრებს ის ამბავი დააწიოს, რუმენიგემ და კომპანიამ რომ ჰქნეს 1982-ში. ჯანდაბას! გერმანია — „იუგოვიჩების“ შეხვედრისას ბებერი ლოთარის და მისი (ასევე არც თუ ახალგაზრდა) თანამეინახეების მიერ ამოქაჩული 0:2 მაინც იყოს!

აი, ეს მინდა ასწავლოს ტოპმიოლერმა ქართველ ბიჭებს — თავდადება და მატჩის უკანასკნელ წუთამდე ბრძოლა!

დანარჩენი (მათ შორის — მეკარის გაქართველებაზე მსჯელობაც) მერე იყოს!..

მე თუ მკითხავთ, სამივე ამ წერილში მთავარი სწორედ განწყობაა და არა მეკარის ჩამოყვანა-არჩამოყვანის საკითხი. რამხელა განსხვავებაა ამ წერილებსა და ოქტომბერ-ნოემბერში მოსულ წერილებს შორის. იმ ძველი უიმედობის კვალიც აღარ ჩანს. ლონგ70-ს კი ერთ ფრაზაში დავესესხები: არც ისეთი მიამიტი ვარ, ვიფიქრო, ეს კაცი უცილობლად გაგვიყვანს ევროპაზე ან მსოფლიოზე-მეთქი. მე სულ სხვა რამის იმედი მაქვს...

წერილებს კი კვლავაც ველი.

WEB-ოსტატი ბუარა

geo_geo_fan@hotmail.com

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვლადიმირ რომანოვი: საქართველოში ტალანტებს რა დალევს

— მთლად ასეც არ არის — გვითხრა ვლადიმირ რომანოვმა — სიმკაცრე ყველგან საჭიროა, ოღონდ დოზირებულად.

— ვიცით, რომ მწვრთნელებთან და ფეხბურთელებთან თბილი, მეგობრული დამოკიდებულება გაქვთ...

— როგორ გითხრათ, ფეხბურთელები თამაშში არიან ჩართულნი და შესაძლოა, ბევრ რამეს ვერ გაუწიონ კონტროლი, ზოგჯერ მოთმინების უნარიც ღალატობთ. ფსიქოლოგიური მიდგომა ერთ-ერთი გადამწყვეტი ფაქტორია და მე ხშირად ვკისრულობ ამ მისიას. როდესაც ფეხბურთელი წინსვლას ცდილობს, თან ეს შეუძლია და რატომღაც ვერ გამოსდის, მას უნდა დაეხმარო, მაგრამ როდესაც ფეხბურთელი ფორმის პიკზეა, მაშინ იმაზე უნდა იფიქრო, ვარსკვლავური სენი არ შეეყაროს. ასევეა მწვრთნელებთან მიმართებაშიც, თუმცა შედარებით ნაკლებად.

— „კაუნასის“ ქართველებზე რას გვეტყვით, კმაყოფილი ხართ მათი თამაშით?

— რა თქმა უნდა, სხვათა შორის, სამივე ქართველი ძალიან მალე შეეგუა „კაუნასს“. გივი კვარაცხელია გუნდის ხერხემალია. მან ახლახან გლანდების ოპერაცია გაიკეთა და ამიტომაც ვერ თამაშობს ესენგეს თასზე. აი, ნუკრი მანჩხავამ კი შესანიშნავად ითამაშა ჯგუფურ მატჩებში — მართლა ძალიან კარგი ფეხბურთელია. აკაკი ხუბუტია ჯერ ახალგაზრდაა, ის უნდა გაიზარდოს და „კაუნასი“ საამისოდ მშვენიერი საშუალებაა. აკაკი ცენტრალური მცველია, ამ პოზიციაზე კი სულ გამოცდილი, ავტორიტეტული ფეხბურთელები გვყავს — ასეა ძლიერ ევროპულ კლუბებშიც და მაგალითად „მილანსა“ და „იუვენტუსს“ მოგიყვანთ. ორსამ წელიწადში მისგან კარგი ფეხბურთელი დადგება.

— ხუბუტიას წლეულსაც სხვა კლუბში გაანათხოვრებთ?

— ვნახოთ, ლიტვის ჩემპიონატის დაწყებამდე ჯერ საკმაო დროა. არ მინდა, რომ ის სათადარიგოთა სკამზე იჯდეს, მისი ასაკის ფეხბურთელს პრაქტიკა სჭირდება.

— თქვენ „კაუნასის“ საუკეთესო ფეხბურთელები „ჰართსში“ გადაგყავთ. ქართველებს რომ ნაკრებში ჩატარებული მატჩების პროცენტები ჰყოფნიდეთ, მათზეც იფიქრებდით?

— რატომაც არა?! მთავარია, ნაკრებში გამოიძახონ.

— „კაუნასში“ სამი ქართველი გყავთ და ეს იმას ნიშნავს, რომ ქართული ფეხბურთი გიყვართ?

— ქართული ფეხბურთის სტილი ყოველთვის მომწონდა. მე გულშემატკივრის თვალითაც ხშირად ვუყურებ ფეხბურთს, ასე რომ, ჩემი გემოვნება მაქვს.

— „კაუნასში“ სხვა ქართველების გადაყვანასაც აპირებთ?

— ტალანტებზე უარს ვერ ვიტყვი. საქართველოში ყოველთვის არიან ნიჭიერი ფეხბურთელები, მაგრამ კონკრეტულად ჯერ ვერაფერს გეტყვით.

— შარშან რამდენჯერმე ითქვა, ვლადიმირ რომანოვი ქუთაისის „ტორპედოს“ ყიდვას აპირებსო...

— მართალია, ასეთი სურვილი მქონდა. რატომ არ გამოვიდა? იყო რაღაც ხელის შემშლელი პუნქტები, ეს უკვე ჩავლილი ამბავია.

— „კაუნასმა“ ჩემპიონთა ლიგის საკვალიფიკაციო ეტაპზე „ლივერპულთან“, შეიძლება ითქვას, „ღირსეულად“ წააგო. პროგრესი კი აშკარაა, მაგრამ მაინც რა დონეზე გსურთ „კაუნასის“ აყვანა?

— გამოკვეთილი მიზნები არ არსებობს. სურვილი კი მაქვს, მაგრამ „კაუნასი“ ვერ გახდება დიდი კლუბი — უფრო ფეხბურთელების აღმზრდელი და გამსხვისებელი იქნება, თუმცა უსუსტეს გუნდებში ხელაღებით არც ერთ მოთამაშეს არ გავუშვებთ.

— „ჰართსზეც“ ვთქვათ. „სელტიკს“ შვიდი ქულით ჩამორჩებით, თუმც მეორე ადგილით ჩემპიონთა ლიგაში გახვალთ...

— და ჩემპიონები ვერ გავხდებოდით?!

— „სელტიკს“ აჯობებთ?

— ვაჯობებთ, როცა მსაჯებს წითელი ბარათები გაუთავდებათ. შოტლანდიაში ფედერაციის სისტემა ისეა აწყობილი, რომ „ჰართსს“ არ ახარებენ. ნორმალური მსაჯობა რომ იყოს, „სელტიკს“ 4:0, 5:0-ს მოვუგებდით.

— მართლა ასე თუ ფიქრობთ, რატომ ეგუებით ამას?

— ჯერჯერობით ვითმენთ.

— დაბოლოს, „ტორპედო“ ჩაიშალა, მაგრამ რომელიმე სხვა ქართული კლუბის შესყიდვაზე ხომ არ ფიქრობთ?

— მომავალში გამორიცხული არაფერია, ამ ეტაპზე კი ვერაფერს გეტყვით.

ილია ნანობაშვილი

ვლადიმირ რომანოვი

რომან აბრამოვიჩი არაა, მაგრამ მას ბრიტანეთში უკვე დიდი სახელი აქვს. „უკიო ბანკის“ პრეზიდენტმა და ცნობილმა ოლიგარქმა შოტლანდიური „ჰართსი“ იმ დონემდე აიყვანა, რომ კლუბი პრემიერლიგის მოსაგებად იბრძვის, თუმცა რომანოვთან დაკავშირება „ჰართსის“ გამო არ მოგვიწადინებია — იგი პოსტსაბჭოურ სივრცეშიც რამდენიმე კლუბს პატრონობს, რომელთაგან ყველაზე ძლიერი ლიტვური „კაუნასია“, სადაც სამი ქართველი ფეხბურთელი — ნუკრი მანჩხავა, გივი კვარაცხელია და აკაკი ხუბუტია თამაშობენ.

არავითარი „არ მცალია“, „მერე დამირეკეთ“, „ჟურნალისტებს არ ველაპარაკები“ და მისთანები... ვლადიმირ ნიკოლაევიჩი გულითადად გვესაუბრა. მას ასეც ახასიათებენ, უბრალო და უშუალო პიროვნებაო...

ქართული კლუბი? რატომაც არა...

ბაქოური სამაია



ბადრი ჯეთილაძის ფოტო

აზერბაიჯანულ „ბაკში“ მესამე ქართველი ფეხბურთელი გადავიდა — ლევან კორღალიძე. „სკონტოს“ ყოფილმა ნახევარმცველი დაახლოებით ერთი თვის წინ თემურ ქეცბაიას „ანართოსისში“ იყო გასინჯვაზე, თუმცა იქიდან წამოვიდა და უკვე ახალი კლუბიც იპოვა.

კორღალიძემ „ბაკის“ მიერ გამართულ მატჩში, „ყარაბახთან“ გოლის გატანაც მოასწრო და აზერბაიჯანელთა თქმით, საუკეთესოც იყო მინდორზე. ამავე მატჩში „ბაკში“ ახალგადასულმა ალექსანდრე რეხვიაშვილმაც ითამაშა.

მოკლედ, ბაქოელებმა ქართველ ნახევარმცველთა ტრიო შეკრეს — კორღალიძე-რეხვიაშვილს ხომ გუნდში ალექსანდრე გოგობერიშვილი დახვდა.

ილია ნანობაშვილი

ჩვენი ეროვნული ჩემპიონატის პირველი წრე ჩამთავრდა თუ არა, თბილისის „დინამოს“ მთავარი მწვრთნელის თანაშემწე ზაურ სვანაძე აიბარგა და შვედეთში წავიდა, სადაც ის 90-იან წლებშიც საქმიანობდა. სვანაძეს გუშინ დავურეკეთ შვედეთში და მცირე ინტერვიუ ვთხოვეთ...

გემაფფ

ეს არის იქ, სადაც დინამოზე უკეთესი პირობებია

ბადრი ჯეთილაძის ფოტო

— ქალაქ მალბარიოტში ვარ და გუნდ გემაფფ-ის მთავარი მწვრთნელი გახლავართ. ეს რეგიონალლიგის, ანუ შვედეთში რანგით მესამე ლიგის გუნდია.

— მანდ ალბათ ძველი კავშირებით მოხვდით...

— ეგრეა, მალბარიოტში ხომ მანამდე ცხრა წელი ვიცხოვრე, ოთხი წელი ფეხბურთელობისას, ხუთი წელი კი მოთამაშე-მწვრთნელი ვიყავი. მალბარიოტი ფაქტობრივად შერწყმულია ქალაქ იელივარისთან და ამ ქალაქების გუნდები რომ ხვდებოდნენ ერთმანეთს, მაგარი დერბი იყო. როცა აქაურობას ვტოვებდი, ვთქვი, თუ ამ ორი ქალაქის გუნდები როდესმე გაერთიანდებიან, კიდევ ჩამოვალ თქვენთან სამუშაოდ-მეთქი. ჰოდა, ამ რამდენიმე თვის წინ ამ ორი ქალაქის გუნდები მართლაც გაერთიანდნენ და მეც მოწვევა მომივიდა.

— თბილისის „დინამოდან“ წახვედით და, ალბათ, შვედეთში უკეთესი პირობები შეგთავაზეს...

— მხოლოდ ფულში არაა საქმე. აქ იმიტომაც წამოვედი, რომ მაქვს საშუალება, მშვიდად ვიმუშაო. „დინამოში“ კი არანაირი კონტრაქტი არ მქონდა, როდის გამიშვებდნენ, თუ არ გამიშვებდნენ გუნდიდან, არ ვიცოდი, ასე ვთქვათ, სულ ეკლებზე ვიყავი და უფრო ამან განაპირობა ჩემი შვედეთში წასვლა, თორემ ახლა ოჯახს მოწყვეტილი ვარ, ბავშვები თბილისში დავტოვე.

— გემაფფ-სთან რა ვადიანი კონტრაქტი გაქვთ?

— 1+1 სახის. მიზანი კი ორ წელიწადში მეორე ლიგაში აღზევებაა. სამწვრთნელო ლიცენზია აქ ადრევე ავიღე, სანამ მოთამაშე-მწვრთნელი გავხდებოდი.

— გემაფფ-ის ინფრასტრუქტურაზე რას გვეტყვით?

— სტადიონზე ათასი მაყურებელი ეტევა, მილბარიოტ-იელივარიში ერთად ოცი ათასამდე კაცი ცხოვრობს. სტადიონს ეკუთვნის კლუბის ბაზა და კიდევ ორი მოედანი.

— ახალი სეზონისთვის როგორ ემზადებით?

— აქ ახლა 14-15 გრადუსი ყინვაა და ჯერ დარბაზში ვავარჯიშებ გუნდს — როგორც კი ოდნავ დათბება, გარეთ გავალთ, ჩემპიონატი კი აპრილში იწყება და ოქტომბერში მთავრდება.

დავით თავგართქილაძე

ფეხბურთის რუკასთან

ინგლისური „ლივერპულის“ ერთ-ერთი ლიდერი ლუის გარსია კვირას „მანჩესტერ იუნაიტედთან“ ვერ ითამაშებს. მერსისაიდელმა ექიმებმა მისი მუხლი კიდევ ერთხელ შეამოწმეს და ფეხბურთელს კიდევ რამდენიმე დღით დასვენება ურჩიეს. ესპანელს, ალბათ, 10 დღე მოუწევს უქმობა. მინდორს კი საკარაუდოდ თვის ბოლოს, ასოციაციის თასზე „პორტსმუთთან“ მატჩში დაუბრუნდება.

მალტის ნაკრების თავკაცად ჩეხი დუშან ფიცელი დანიშნეს. 42 წლის მწვრთნელმა გერმანელი ჰორსტ ჰესე შეცვალა, რომელსაც კონტრაქტი 2005-ის დეკემბერში დაუმთავრდა. ჩეხი იმავდროულად მალტის ფეხბურთის ასოციაციის ტექნიკური დირექტორის პოსტსაც შეითავსებს. ფიცელს ფეხბურთელობისას თავისი ქვეყნისა და კვიპროსის კლუბებში უთამაშია, ბუცების ჩამოკიდების შემდეგ კი მწვრთნელის თანაშემწედ მუშაობდა ჩეხეთის ახალგაზრდულ ნაკრებში, რომელმაც 2002-ში ევროპის ჩემპიონატი მოიგო.

ფრანგულმა „მონაკომ“ ლისაბონის „ბენფიკადან“ 31 წლის მცველი მანუელ დუშ სანტუში შეიძინა და თვრამეტთვიანი კონტრაქტი გაუფორმა. დუშ სანტუში „მონაკოს“ კარგად იცნობს, რადგან გასულ საუკუნეში ამ გუნდის მაისურა ეცვა და 1997-ში საფრანგეთის ჩემპიონიც გახდა. მანუელ დუშ სანტუში „მანჩესტერ იუნაიტედში“ გადასულ პატრის ევრას შეცვლის.

ინგლისური „ვესტ ჰემის“ ფორვარდმა ბობი ზამორამ კლუბთან კონტრაქტი 2010 წლამდე გაახანგრძლივა. 25 წლის ფეხბურთელმა საამსეზონო რვა მატჩში ხუთი გოლი გაიტანა. „ბრაიტონის“ ყოფილი მოთამაშე „ვესტ ჰემში“ 2003-ში გადაბარგდა. „ჩაქუჩთა“ მწვრთნელმა ზამორას დარჩენით გაიხარა: „კარგია, როცა ახალგაზრდა ფეხბურთელები გაქცევას არ ლამობენ და კლუბს ერთგულობენ“.

პორტუგალიური „ბენფიკა“ არგენტინელი ფერნანდო კავენაგის შეძენით დაინტერესდა. პორტუგალიელები თავიდან მექსიკელ ბორხეტის აკვირდებოდნენ, თუმცა კუმანი არც რუსული ფეხბურთის სიცივეში ჩაკარგული კავენაგის „ესტადიო ლუზზე“ ჩამოყვანას გამორიცხავს. არგენტინელი „რივერ პლეიტში“ გაბრწყინდა და ევროპული გრანდების, „იუვენტუსის“, „რეალისა“ და „ბარსელონას“ ყურადღებაც მიიპყრო. მიუხედავად ამისა, კავენაგი მოსკოვის „სპარტაკში“ გადაწყვიტა წასვლა. რუსეთის ქარყინვა ამაში დამნაშავე თუ სხვა რამ, არგენტინელს მოსკოვში ხელი მოეცარა და იქიდან სასწრაფოდ გამოქცევას აპირებს. მედიის ცნობით, „ბენფიკა“ „სპარტაკს“ კავენაგიში 7 მილიონ ევროს გადაუხდის.

ოსანა პატიოსნებას ჟოზე აბოლას აბოლებს



ჟოზე მაურინიუს ინგლისურ პრესასთან რთული ურთიერთობა აქვს. ასე ამბობს, ამ ხალხს უცნაური კითხვების დასმა უყვარს და მოვლენებისადმი მათი დამოკიდებულებაც გაუგებარიაო.

„აქ, დანარჩენი მსოფლიოსგან ყველაფერი განსხვავებულია. მაგალითად, ერთხელ, ჩემპიონთა ლიგის ერთ-ერთი მატჩის წინა პრეს-კონფერენციაზე ეიდურ გუდიონსენს უპირველეს ყოვლისა ის ჰკითხეს, აუქციონზე ბიკ ჯაგერის გიტარაში რამდენი გადაიხადეო. ნებისმიერ ქვეყანაში პირველი შეკითხვა ფეხბურთზე იქნებოდა“ — უამბო „ჩელსის“ მწვრთნელმა პორტუგალიელ მკითხველს.

ერთი სიტყვით, მაურინიუ ინგლისურ პრესას ალმაცერად უყურებს, პორტუგალიურ A Bola-სა და O Jogo-ში კი ხშირად წააწყდებით მის ვრცელ ინტერვიუს, სადაც ტაქტიკით დაწყებული ფილოსოფიით დამთავრებული ყველაფერზეა საუბარი.

კიდევ რატომ გაურბის „ჩელსის“ თავკაცი ინგლისელ ჟურნალისტებთან პირისპირ საუბარს? ალბათ, იმიტომ, რომ მისი გუნდის მოსაწყენ სტილზე კითხვების მოსმენა აღარ სურს, თუმცა იმავე თემებზე თანამემამულეებს გულდასმით ესაუბრება. მაგალითად, ამას წინათ ერთ-ერთ პორტუგალილ ჟურნალისტთან საუბარში მან „ჩელსის“ თამაშის სტილი ასე დაიცვა: გაცილებით სჯობს ორი ბურთით მოიგო, ვიდრე ხუთის გატანა ამოიჩემოო. პლუს, იმავე ინტერვიუში მაურინიუმ გულწრფელად შეაქო ინგლისური ფეხბურთში დამკვიდრებული პატიოსნება.

„ინგლისში სპორტის საუცხოო კონცეფცია აქვთ და ეს ტრიბუნებზე, ქომაგთა ქცევაშიც აისახება. მაგალითად, მაყურებელი კუთხურზე გოლსავით რეაგირებს, რაც ფეხბურთელებს უფრო ემოციურად თამაშისკენ უბიძგებს. ეს ძალიან მომწონს, თუმცა ბევრი ისეთი მაგალითის მოტანაც შემიძლია, როდესაც ამ დამოკიდებულების გამო შედეგი გამოდის უარყოფითი. ამიტომაც ვცდილობ ჩემს გუნდს ოდნავ განსხვავებული ფსიქოლოგია ჰქონდეს.

მაგალითად, წინა სეზონში შინ „ბოლტონთან“ მშვენივრად ვთამაშობდით, შესანიშნავი გოლი გავიტანეთ, 2:0-ს ვიგებდით და გუნდი ზუსტად იმ ფეხბურთს აჩვენებდა, რომელსაც მისგან მაყურებელი ითხოვდა. ამან ის მოიტანა, რომ ფეხბურთელებმა საკუთარ ინსტინქტებს კონტროლი ვეღარ გაუწიეს, ტაქტიკა სავსებით დაავიწყდათ და ხალხისგან გადადებულ ეიფორიას მიეცენ. ეს რომ შევამჩნიე, ასისტენტს გადავულაპარაკე ან 4:0-ს მოვიგებთ ან 2:2-ს ვითამაშებთ, მეთქი. 2:2 ვითამაშეთ“.

ბუნებრივია, მაურინიუს ეს შედეგი არ მოეწონა. მას გაცილებით ერჩივნა ის ფეხბურთი, რომელიც „ჩელსიმ“ „არსენალთან“ ითამაშა და მოიგო. ვითარება ასეთი გახლდათ: ფანები საყვარელი გუნდისგან გამაღიზიანებელი მეტოქის განადგურებას ითხოვდნენ, მაგრამ მაურინიუმ ბურთის დაჭერა ამჯობინა და ამისათვის, ბოლო წუთებზე ერთდროულად ათამაშა მიკაელ ესიენი, კლოდ მაკელელე და ჯერემი.

„მეორე გოლი შევაგდეთ თუ არა, ჯო კოულმა ძელს გაარტყა ბურთი, — იგონებს მაურინიუ — რასაც თამაშში პატარა პაუზა მოჰყვა. ამ პაუზით ისარგებლა ჯონ ტერრიმ, ჩემთან მოირბინა და მეთათბირა. ორივენი იმ აზრის ვიყავით, რომ 5:0 არაფრად გვჭირდებოდა. შედეგად, ჩვენმა გუნდმა, რომელსაც აქამდე მეტოქე სიღრმეში ჰყავდა შეწეული, მოედნის სიგანეზე პრესინგი დაიჭირა და თამაშის დასრულებამდე 20 წუთით ადრე ყველაფერი ნათელი გახლდათ.

მესმის, როგორ არ მესმის, რომ ქომაგებს ეიფორია სჭირდებათ, მაგრამ მე გააზრებული, ტაქტიკური ფეხბურთი მაძლევს ხელს. ფეხბურთში ემოცია, ცხადია, უნდა იყოს, მაგრამ მხოლოდ მაშინ, როდესაც ჩვენ მას ვაკონტროლებთ. გრძნობები საჭიროა, ოღონდ მათი გამოყენება უნდა ვისწავლოთ, ამიტომაც მჭირდება მტკიცე ხასიათის, ყურადღებიანი მოთამაშეები. სულელ ფეხბურთელებს არ ვენდობი. ვერ ვიმუშავებ იმ ხალხთან, ვინც ვერ მიხვდება რა მჭირდება“.

სხვათაშორის, „ჩელსის“ კონსერვატორიზმშიც სდებენ ბრალს, მაგრამ მაურინიუ საპირისპიროს ამტკიცებს. ის ამბობს, რომ გუნდი წლეულს აზროვნებით განვითარდა.

„ჩვენი ფეხბურთი უფრო გააზრებული გახდა. თამაშის დონის მიხედვით წინ გადავდგით ნაბიჯი. წინა სეზონში თავს კარგად ვიცავდით და აგრესიულად ვუტევდით, ახლა კი ამ ორ კომპონენტთან ერთად თამაშის კონტროლიც ვისწავლეთ, ბურთს ვიჭერთ. ჩვენი შეტევა უფრო რთული და მრავალმხრივი გახდა, ხოლო უპირატესობას კარგი დაცვის გამო კი არ ვიღებთ, არამედ იმტომ, რომ ვიცით, როგორ ვაკონტროლოთ და არ დავკარგოთ ბურთი. ერთადერთი, რაც ეჭვს მიჩენს მოტივაციაა. გასულ სეზონში ის პირველიდან ბოლო დღემდე ძალიან მაღალი იყო, ჩემპიონები გავხდით და ისტორიაში დავიმკვიდრეთ ადგილი, ამ სეზონში კი, არ არის გამორიცხული ვინმეს ეგონოს, რომ ყველაფერი უფრო ადვილია“.

და ბოლოს, მოახლოვებულ მუნდიალზე მაურინიუ ამბობს, რომ ფეხბურთის ბრიტანული და კონტინენტური სტილი აღარ არსებობს, რასაც მსოფლიოს ჩემპიონატზე ნათლად დავინახავთ, თუმცა...

„ინგლისში მუშაობამ მაჩვენა, რომ არსებობს ორი სპორტული ფილოსოფია. კერძოდ, მოთამაშე, რომელიც მსაჯს სიმულაციით გამოსტყუებს პენალტს და გოლს გაიტანს პორტუგალიაში, იტალიასა და ესპანეთში ჭკვიანად და გამოცდილად მოინათლება, ინგლისში კი თაღლითად და მისთვის ცხოვრება გართულდება. აქ პატიოსანი ფეხბურთის კულტურა არსებობს და ამაში ინგლისი დიდი ხანია მსოფლიოს ჩემპიონია, თან უდიდესი უპირატესობით“.

პაპუნა კედია

თუ ინგლისის ცხრილს ჩახედავთ და პირველ ადგილზე მყოფი გუნდის ქულებს მეორე ადგილზე მყოფისას გამოაკლებთ, თექვსმეტს მიიღებთ, რაც იმას ნიშნავს, რომ დასავლეთ ლონდონის გუნდი „ჩელსი“ ინლისის ჩემპიონის ტიტულის შენარჩუნებას სერიოზულად აპირებს. პრემიერშიფის მიმდინარე სეზონში ჟოზე მაურინიუს ფეხბურთელები თანაბრად ძლიერად თამაშობენ, ლიგის როგორც საუკეთესო ასევე უარეს წარმომადგენლებთან, ხოლო, რაც შეეხებათ მათ, ვისაც ამწუთას საუკეთესონი ვუწოდეთ, ისინი მთლად ასე ვერ ყოჩაღობენ. ცხრილის ზედა ხუთი გუნდი რომ ავიღოთ და ურთიერთთამაშები დავუჯამოთ, თითქოს მათ ცალკე ჩემპიონატი ჰქონდეთ, ვნახავთ, რომ „ჩელსი“ მხოლოდ „მანჩესტერ იუნაიტედთან“ დამარცხებულა, სხვა ოთხი მეტოქე კი დაუმარცხებია, ხოლო „მანჩესტერ იუნაიტედს“, ისევე როგორც „ლივერპულს“, ერთადერთი თამაში მოუგიათ.

ჩელსი	5	4	0	1	9:2	12
მანჩესტერ იუნ.	4	1	3	0	2:1	6
ლივერპული	4	1	2	1	2:4	5
ტოტენჰემი	5	0	3	2	2:5	3
არსენალი	4	0	2	2	1:4	2

უმაკრატელო დალაქი

„ბარსელონას“ პორტუგალიელი ნახევარმცველი დეკო ესპანეთის ფეხბურთის ფედერაციამ ორმატჩიანი დისკვალიფიკაციით დასაჯა. მიზეზი დეკოსა და ბილბაოელი გურპეგის ამასწინანდელი შეხლა-შემოხლაა. პრიმერადივიზიონის მეთვრამეტე ტურის თამაშში „ბარსას“ ვარსკვლავი გურპეგის თმებში ჩააფრინდა და ფედერაციის რისხვაც ამიტომ დაიმსახურა.

„დეკო საჯარიმო სანქციით მოედანზე გამოვლენილი აგრესიის გამო დაისაჯა. იგი მომავალ ორ თამაშს გამოტოვებს“ — აღნიშნა გუშინ ალფრედო ფლორესმა, ფედერაციის ერთ-ერთმა მაღალჩინოსანმა, მედიასთან შეხვედრისას.

თავად პორტუგალიელი სანქციის გამო, რა თქმა უნდა, უკმაყოფილოა. „გურპეგი მთელი თამაშის განმავლობაში ცდილობდა ჩემ პროვოცირებას, რაც, სამწუხაროდ, მატჩის ბოლოს მაინც შეძლო. ბილბაოელმა იმ ეპიზოდამდე რამდენჯერმე მსაჯისგან ფარულად მტკივნეულად ჩამარტყა, ხოლო 89-ე წუთზე მისურაზე დამქაჩა და წამაქცია. მეც ვეღარ მოვითმინე და პასუხი გავეცი. რა გამოდის, დეკოს წითელი ბარათი და ორთამაშიანი ჯარიმა აჰკიდეს, ხოლო გურპეგი ამ არეულობიდან მშრალად გამოძვრა? — იკითხა გაღიზიანებულმა ლუიშ ანდერსონ და სოუზამ „მარკასთვის“ მიცემულ ინტერვიუში. ბარსელონელები თავიანთ ნახევარმცველს პრიერადივიზიონში „ალავესთან“ და კიპროელ რეის მეოთხედფინალში მოისაკლისებენ.



ნაწყენმა დეკომ ციცი წყალი დალიოს

ლადო ხომერიკი

ჩელსის და მაურინიუს არც დაეესიზმრებათ...

რაიკარდი და ისევ სან სიროო?

ეს გუნდები შარშანდელი ფინალის მოცილეები არიან, მაგრამ ამ და იმ სტუ-ს ერთმანეთს ვერ შევადარებთ. ტექნიკოსებს შემადგენლობა დაუსუსტდათ და აკი ჩემპიონატშიც მესამე ადგილზე თავს ძლივს იმაგრებენ, მაგრამ გუშინ სულ სხვა სტუ ვიხილეთ — მებრძოლი, შეუპოვარი, საოცრად სწრაფი და მობილიზებული. თუ „ავიატორებს“ დასჩივლად ის აქვთ, რომ გამთამაშებელთა ტანდემი — დავით ბერიშვილი, გიორგი ნიკოლაძე — აკლდათ, ტექნიკოსებსაც ჰყავდათ დაშავებულები. გუნდის ერთ-ერთი ლიდერი ირაკლი კეიდია და გიორგი გაგნიძე მოედანზე არ გამოჩენილან.

თუ სტუ-ს დანაკლისი არ დასტყობია, „ავიამშენმა“ სწორედ ტრავმირებულთა არყოფნის გამო წააგო თამაში.

საქმე ის გახლავთ, რომ მოსეშვილის შეგირდებს ერთი ამპლუის მოთამაშეები აკლდა, ანუ გამთამაშებელი არ ჰყავდა და ამან ავიატორთათვის უარყოფითი შედეგი მეორე მეოთხედში გამოიღო.

თანაბარი პირველი ათწუთეულის შემდეგ ტექნიკოსებმა ისე აიშვეს, რომ თითქმის ყველა შეტევა სწრაფი კონტრშეტევით დაავგირგვინეს. ზვიად მიქაძე ტანით ირაკლი ხოშტარიაზე მაღალი კია, მაგრამ გამთამაშებელის პოზიციაზე უფრო გამოცდილია და თავის ფუნქციას ჩინებულად ართმევდა თავს. პასი გინდა თუ ბურთის მეტოქის ნახევარზე სწრაფად გადატანა, ზვიადი ყველაფერს იოლად ართმევდა თავს და არც მიზანი ღალატობდა.

პირველი მეოთხედი „ავიამშენმა“ ქულით მოიგო, თუმც მეორე ძალიან უნიათოდ ჩაატარა და ტექნიკოსთა მარტივ ტაქტიკას ანტივირუსი ვერ დაუპირისპირა. მოიხელთებდნენ თუ არა ბურთს, სტუდენტები დაუფიქრებლად შეტევაზე გადადიოდნენ და უმეტეს შემთხვევაში მეტოქის ფარს იოლად ლაშქრავდნენ.

ეს ყველაფერი კარგი, მაგრამ სტუ ისე გათამამდა, რომ პრესინგის თამაში შეჰბედა გაცილებით ძლიერ მეტოქეს. გაბედა და გაუმართლა კიდეც. ამ ტაქტიკით ტექნიკოსებმა იმდენი მოიმკეს, რომ მეორე მეოთხედის დაწყებიდან 6 წუთში უკვე 20 ქულას იგებდნენ. ნუგზარ ჭეიშვილის შეგირდებმა 4-წუთიანი მონაკვეთი 21:3(!) მოუგეს ავიატორებს და შესვენებაზეც გულდალხენილნი გავიდნენ — 64:43.

ამასობაში „ავიამშენი“ ტყუილად კი არ იყო მოედანზე, ცდილობდა, ფარზე გამაგრებულიყო და უკანა ხაზში გაჩენილი ნაპრალი მეფარეების მარიფათით ამოევსო, მაგრამ რად გინდა — პლასიდე როდუმტასა და თორნიკე ნინიაშვილს ყოჩაღად მეურვეობდნენ ტექნიკოსთა მაღლები, ხოლო მოსეშვილის ნაქებ სნაიპერ გიორგი მარკოიშვილს კოვზი არა და, ბურთი კი ნამდვილად ნაცარში ჩაუვარდა. იგი ჩვეულებრივ მოედანს 20 ქულაზე ნაკლებით არ ტოვებს, გუშინ კი მხოლოდ ერთი შორი ტყორცნის გათვლა მოახერხა და მთლიანობაში მისი საამმატჩო მონაგარიც ეს გახლდათ — 3 ქულა.

როცა ავიატორთა მდგომარეობა არც დიდი შესვენების შემდეგ გამოსწორდა, მოსეშვილმა ბოლო კოზირი გამოიყენა, ტაქტიკა-სტრატეგია არ გვაინტერესებსო და მოედანზე სნაიპერი გოჩა წოწელია გამოიყვანა. როცა გოჩა მოედანზე შემოვიდა, „ავიამშენი“ 22 ქულას აგებდა, თუმც მან უბადლო მიზანი გამოიჩინა და ერთ წუთში ჩაგდებული სამიანით თავისიანებს იმედი გაუცოცხლა — 79:70 ბოლო მეოთხედის წინ.

წოწელიამ მცირე შესვენების დაწყებისთანავე განაახლა ბომბდამშენობა და ორი ტყორცნით 5 ქულაც ჩააჩხრიალა „ავიატორთა“ კალათში. ტექნიკოსები სულ ერთი ხელის გაწვდენაზე ღია იყვნენ, ანგარიში ოთხ ქულამდე შემცირდა, რამაც მოედანზე ვითარება დაძაბა და მუშტიკრივმაც არ დაახანა. ერთ-ერთ მძაფრ სათამაშო ეპიზოდს ავიატორ პლასიდე როდუმტასა და ტექნიკოს შიო ხეკურიანს შორის გაწევ-გამოწევა მოჰყვა. მოედანი მოთამაშეებით გაივსო და ამ ორომტრიალში კამერუნელს სტუდენტთა თავდამსხმელი დაესხა თავს. დავით მურჯიკნელი, ცხადია, მოედნიდან გააძევეს და ასევე დისკვალიფიკაცია გამოუწერეს პლასიდე როდუმტას.

ვნებათაღელვამ „ავიატორთა“ წისქვილზე დაასხა წყალი და ირაკლი ხოშტარიას ელვა-გარღვევებისა და ზუსტი სამქულიანების შემდეგ მოსეშვილის რაზმმა გვარიანი ხნის შემდეგ ნანატრი ლიდერობა დაიბრუნა — 89:88.

ეს მოხდა თამაშის დასრულებამდე 2 წუთით ადრე ანუ ავიატორებს თამაშის გადარჩენის საქმის ბოლომდე მიყვანა რეალურად შეეძლოთ. წესით, სტუ ფსიქოლოგიურად უნდა გატეხილიყო, ამხელა უპირატესობა რომ გაფლანგა, მაგრამ... ტექნიკოსთა სნაიპერმა ლუკა შანიძემ, ვინც ამ მატჩში 31 ქულა მოაგროვა, ტექნიკოსებს სიხარული წამებში ჩაუშხამა. „შანომ“ მოედნის კუთხიდან უმნიშვნელოვანესი სამქულიანი ჩააჭედა და სტუ-ს ლიდერობა დაუბრუნა.

„ავიამშენის“ ხსნა ლამის გმირმა გოჩა წოწელიამ ითავა, რომელმაც სამიანი გატყორცნა, მაგრამ... მოსეშვილის გუნდი ტაქტიკურ ჯარიმებზე გადავიდა, თუმც ლაშა ლოსაბერიძემ საჯარიმოს ხაზიდან ყველა ტყორცნა ჩააგდო და სტუ ფინალში გავიდა.

* * *

მეორე „ნახევარფინალური“ მატჩი უფრო დაძაბული გამოდგა, ოღონდ აქ ანგარიში თითქმის თანაბრად იზრდებოდა მცირე გამონაკლისის გარდა. ეს მოხდა პირველ ტაიმში, როცა 3:11 ჩამორჩენილმა „აზოტმა“ 5-წუთიანი პერიოდი 14:2 მოუგო თსუ-ს და მეორე მეოთხედში სულაც ათქულიან უპირატესობას მიაღწია.

ამ მატჩის გამარჯვებულის გამოვლენას დამატებითი დრო დასჭირდა, რაც დრამატულ ფინალზე მიგვანიშნებს და ჩვენც ბოლოსკენ მომზდარ ამბებს უფრო დაწვრილებით მივყვეთ, თუმც მანამდე...

„ენერჯი ინვესტმა“ ისეთი ენერგია შესძინა „აზოტს“, რომ ეს გუნდი საშუალოებიდან პირდაპირ ლიდერთა მარაქაში გაერია. ამ კომპანიამ რუსთაველ კლუბში ფული ჩადო, „აზოტმა“ კი ორი მოთამაშის დამატებით ლამის ძველი სიძლიერე დაიბრუნა.

ზვიად ბაბიაშვილი ისე მოერგო რუსთაველ გუნდს, თითქოს კარგა ხანია, იქ თამაშობს. სწორედ მისი და დავით იმნაძის სიჩაუქით რუსთაველებმა ეროვნულ ჩემპიონატში უძლიერესი თსუ პირველი ტაიმის შემდეგ 10 ქულით ჩამოიტოვეს. თუმც მერე მოედანს ახალგაზრდა ბესიკ ლეჟავა დაუბრუნდა, ვინც თამაშის პირველი წუთებიდან დაწყებული ჩუბინობა წარმატებით გააგრძელა და მესამე მეოთხედის შემდეგ უკვე თსუ იგებდა ქულას — 41:40.

გადამწყვეტმა მეოთხედმა ყველაფერი ვერ გადაწყვიტა, რაკი თამაში ოვერტაიმში გადაიზარდა. თუმც საინტერესოა, როგორ მოხდა ეს.-

ქულა-ქულაში მიმდინარე ბოლო ათწუთეულის ბოლოს რამაზ გოგობერიშვილის გმირული გარღვევის შემდეგ „აზოტმა“ 4-ქულიანი უპირატესობა მოიხელთა სირენამდე 30 წამით ადრე. თამაში თითქმის მოგებული ჰქონდათ რუსთაველებს, თუმც სტუდენტების შეუპოვარმა უკანახაზელმა, დავით საყვარელიძემ დაუფიქრებლად ტყორცნა სამიანი და ბადეში ჩაახვია.

ნიკორელები ტაქტიკურად დაჯარიმდნენ არჩილ ჟღენტზე, რომელმაც ორიდან ერთის ჯარიმა მიითვალა და 2 ქულის გასაბათილებლად თსუ-ს 25 წამი დარჩა.

არც აქ დაელოდნენ დროის ამოწურვას სტუდენტები, ბესიკ ლეჟავამ დასრულებამდე 16 წამით ადრე დამაწინაურებელი სამქულიანი გასტყორცნა და ახლა „აზოტი“ აღმოჩნდა წაგების პირისპირ.

რუსთაველებმა ბურთი სწრაფად გადაიტანეს მეტოქის ნახევარზე და გადამწყვეტი ტყორცნა გოგობერიშვილმა ითავა, მაგრამ... აცილებული დავით იმნაძემ მოხსნა, ვისზეც მყისიერად დაჯარიმდნენ სტუდენტები და რუსთაველმაც ერთი, გამთანაბრებელი ქულის ჩაგდება მოახერხა — 60:60.

დამატებითი დროის მეორე წუთზე სტუდენტებს დავით მუშკუდიანი გაუვარდათ ჭარბი პერსონალურების გამო და ბურთი და მოედანი რუსთაველ მაღლებს დარჩათ.

ოთარ ხმელიძემაც სულ ტანმაღალი მოთამაშეები გამოუშვა — იმნაძე-ბაბიაშვილი-ტუჯანის ტრიოს შემჩერებელი ფარქვეშ ვერავინ გამოდგა და მანაც, თსუ-მ საყვარელიძის მიზნის წყალობით შანსი ბოლო წამებამდე შეინარჩუნა.

სირენამდე 22 წამით ადრე საყვარელიძემ ორი ზუსტი საჯარიმოთი თსუ ქულით მოახლოვა „აზოტს“. საპასუხო შეტევაში რამაზ გოგობერიშვილი აღმოჩნდა საჯარიმო ხაზზე და მხოლოდ ქულა ჩააგდო — 72:70 „აზოტის“ სასარგებლოდ.

თსუ-ს თამაშის მეორედ გადასარჩენად 15 წამი ჰქონდა, მაგრამ მათ გამთამაშებელ ირაკლი ბერიშვილს შეტევაში პასი გაუცუდდა და ბურთთან ერთად რუსთაველები ფინალის საგზურსაც დაეპატრონენ.

ᲕᲐᲠᲡᲙᲕᲚᲐᲕᲗᲘᲪᲕᲔᲜᲐ ᲡᲞᲝᲠᲢᲘᲡ ᲡᲐᲡᲐᲮᲚᲔᲨᲘ

იაპონიაში, ძიგორო კანოს მემორიალზე ჩასული ქართული დელეგაციის ერთი ნაწილი თბილისში გუშინ დაბრუნდა. საქართველოს ძიუდოს ფედერაციის პრეზიდენტმა დილარ ხაბულიანმა და ვიცე-პრეზიდენტებმა: შენგელი ფიცხელაურმა, შოთა ჩოჩიშვილმა და გია ნაცვლიშვილმა ტოკიოში საქმიანი მოლაპარაკებებიც მოასწრეს და იქაურ კოლეგებთან ქართულ-იაპონური ძიუდოს სამომავლო ურთიერთობები დაგეგმეს.

ილიას ილიადისი

კეიჯი სუძუკი

ᲣᲙᲕᲔ თითქმის გადაწყვეტილია, რომ თებერვლის დასაწყისში თბილისის ტრადიციულ საერთაშორისო ტურნირს აზიელები ძლიერი შემადგენლობით ესტუმრებიან და დასრულების შემდეგ ერთობლივი ვარჯიშების ჩასატარებლად რამდენიმე დღეც დარჩებიან. პერსპექტიული ქართველი ბავშვების ტოკიოს ძიუდოს უნივერსიტეტში სტაჟირებაზე გაშვება და ახალგაზრდების გაცვლითი პროგრამის ამოქმედება კი შედარებით შორი პერსპექტივაა. ამ საკითხებზე შეხვედრები თბილისშიც გაგრძელდება. ტურნირზე იაპონელებიც წარმომადგენლობითი დელეგაციით გეგმავენ ჩამოსვლას, თვით იასუჰირო იამასიტას ჩათვლით.

ახლა უშუალოდ თბილისურ ტურნირზე. იგი რომ წინამორბედებზე უკეთესი იქნება, ფედერაციის თავკაცებს უკვე არაერთგზის უთქვამთ. დასტურად თუნდაც პერსონალურად მოწვეული მონაწილეების ჩამოსვლა იკმარებს. რამდენიმე ოლიმპიურ, მსოფლიოსა და ევროპის ჩემპიონს უკვე თანხმობაც შემოუთვლია. 4-5 თებერვალს სპორტის სასახლეში მისულ მაყურებელს საშუალება ექნება ცოცხლად იხილოს მსოფლიოს ორგზისა და ოლიმპიური ჩემპიონის კეიჯი სუძუკის, ოლიმპიურ და ევროპის ჩემპიონ ილიას ილიადისის და სხვათა ჭიდაობა. ვარსკვლავთა სრული სია და რაოდენობა ჯერ დასაზუსტებელია.

„ამ მომენტამდე თბილისის ტურნირზე ჩამოსვლის სურვილი თხუთმეტამდე ქვეყნის ნაკრებმა გამოთქვა — გვითხრა გუშინ ძიუდოს ფედერაციის აღმასრულებელმა მდივანმა ზურაბ უსუფაშვილმა — რუსები და ფრანგები სულაც ორ-ორი შემადგენლობით აპირებენ ჩამოსვლას. ევროპის ძიუდოს ფედერაციაში განაცხადების შეტანის ვადა 31 იანვარს იწურება. ასე რომ, ჩამოსვლის მსურველთა რაოდენობა შეიძლება ბევრით გაიზარდოს. სპორტის სასახლეში რემონტი უკვე დაწყებულია, სტუმართა დაბინავების საკითხებიც მოგვარებულია. ყველანაირად ვეცდებით, ხალხს ლამაზი ტურნირი ვაჩუქოთ. ბილეთი სიმბოლური ფასი — 1 ლარი ეღირება“.

იაპონელებს რომ თბილისში სავარჯიშოდ დარჩენა სურთ, ზემოთ ითქვა. სავარაუდოდ, ისინი პარიზის მსოფლიოს სუპერთასზე პირდაპირ აქედან გეგმავენ გამგზავრებას. ერთობლივი თბილისური ვარჯიშებისთვის მზადყოფნა თავად ფრანგებსა და ლიტველებსაც გამოუთქვამთ, მაგრამ ჯერ ეს საკითხი გაურკვეველია. კემპის ჩატარება ფასიანია და იგი თბილისის ტურნირის ორგანიზატორთა თავდაპირველ გეგმაში არ იჯდა.

საქართველოს ნაკრები კი ტურნირზე ტრადიციულად ოთხი შემადგენლობით გამოვა. შოთა ხაბარელმა უკვე ყველა რჩეული დაასახელა. იგი ათ შეგირდთან ერთად ჯერაც ტოკიოშია და იქაურ კემპში მონაწილეობს. თბილისში 21 იანვარს დაბრუნდებიან. მეორე დღიდან კი წინასატურნირო ფართომასშტაბიანი შეკრება ბორჯომში დაიწყება.

ᲝᲗᲐᲠ ᲛᲐᲚᲚᲐᲫᲔᲚᲘᲫᲔ

ᲑᲐᲕᲐᲠᲘᲔᲚᲔᲑᲘ ᲖᲐᲣᲑᲔᲠᲘᲡ ᲘᲛᲔᲓᲐᲓ ᲐᲠᲘᲐᲜ

ᲡᲐᲤᲝᲠᲛᲣᲚᲝ ტრასებზე 13-წლიანი ჯირითის შემდეგ არსებობა შეწყვიტა შვეიცარიელ მრბოლ-ინჟინრის პეტერ ზაუბერის გუნდმა. ჰერ პეტერს ფული თავზე საყრელად არასდროს ჰქონია, მაგრამ არც გაკოტრების პირას მდგარა. თუმც ბობოლა საჯინიბოებთან შედარებით მწირი ბიუჯეტი „ზაუბერს“ მათთან თანაბარი ბრძოლის შანსს არ აძლევდა. ამდენად, უმდიდრესი გერმანული სუპერკონცერნის, BMW-ს მიერ გუნდის შეძენა, დარწმუნებით შეიძლება ითქვას, მას ბევრად მაღალ სპორტულ-ტექნიკურ დონეზე აიყვანს.

ბავარიული კონცერნი მეოთხედი საუკუნეა, რაც სამეფო რბოლებშია, ოღონდ აქამდე მხოლოდ ძრავებით მომმარაგებელი იყო, ბოლო ექვსი წელიწადი — „უილიამსისთვის“. სერ ფრენკ უილიამსის საჯინიბოს მსოფლიოს ჩემპიონის ცხრა ტიტული კი აქვს, მაგრამ ეს დიდი ხნის წინათ იყო, უკანასკნელად 1997 წელს. უილიამსელი კონსტრუქტორები ბოლო დროს სწრაფ და საიმედო შასის ვეღარ ამზადებდნენ და გუნდიც თანდათან დაბლა ეშვებოდა (შარშან კონსტრუქტორთა თასზე თავისთვის სამარცხვინო, მეხუთე ადგილზე გავიდა).

ბეემვეელებს ამსიგრძე ხელმოცარვის პერიოდი მობეზრდათ, თანაც ყელში ამოუვიდათ გაუთავებელი კრიტიკა — წარუმატებლობა ძრავის ბრალიაო და ერთ დროს შეხმატკბილებული თანამშრომლობა დაიშალა. BMW-მ საკუთარი საპირველფორმულო გუნდის შექმნაც გადაწყვიტა, მაგრამ რაკი საქმის ნულიდან დაწყება უაზრობაა, გერმანელებმა კარის მეზობელ შვეიცარიელისგან მზამზარეული ავტობიზნესი შეიძინეს — ჰინვილის ფაბრიკა თავისი ავლადიდებითა და ტექპერსონალით. წლეულს სარბოლოდ „ზაუბერის“ შასის გამოიყენებენ, მერე კი საკუთარი კონსტრუქციის მანქანებზე გადავლენ.

ამიტომაცაა, რომ გუნდის სახელწოდებაში ჯერჯერობით „ზაუბერიც“ ფიგურირებს, რითაც ჰერ პეტერი ძალიან კმაყოფილია.

პროფესორი მარიო ტაისენი:

„დასახელება „ზაუბერი“ შემთხვევით არ დაგვიტოვებია. გუნდი კონცერნმა BMW-მ კი შექმნა, მაგრამ ჩვენთანაა პეტერ ზაუბერის 300 თანამშრომელი. რაც მთავარია, შასიც სწორედ მათი დამზადებულია და არა BMW-სი“.

ეგაა, 2006 წლის ბოლიდმა მოსაღოდნელი C25-ის ნაცვლად, F1. 06 ინდექსი მიიღო.

ახალი გუნდ-მანქანის პრეზენტაცია შედგა ვალენსიაში, სადაც 500 ჟურნალისტსა და საპატიო სტუმრებს ოფიციალურად წარუდგინეს, რის შემდეგ „BMW ზაუბერ F1.06“ ტრასაზე სანავარდოდ გაუშვეს. საჭეს გერმანელი ნიკ ჰაიდფელდი უჯდა.

სხვათა შორის, BMW-ს ხელმძღვანელობის ტრადიციული სურვილია („უილიამსშიც“ ასე იყო), რომ გუნდში ერთი პილოტი მაინც გერმანელი უნდა იყოს.

ნიკმა უპრობლემოდ გაიქროლა 29 წრე:

„ეს ჩემს კარიერაში ერთ-ერთი საუკეთესო დებიუტია. არ ვიცი, რამდენად კონკურენტუნარიანი იქნება რბოლებში მანქანა, მაგრამ მე ის მომეწონა. არც მექანიკასთან და არც ძრავასთან დაკავშირებით პრობლემა არ გამჩენია.

მარიო ტაისენი: „კმაყოფილი ვარ, მანქანამ უნაკლოდ ჩაატარა ტესტირების პირველი დღე. ერთადერთი ხარვეზი, რამაც ხელი შეგვიშალა, რადიოკავშირსა და ტელემეტრიის მონაცემების გადმოცემაში შეინიშნებოდა. მანქანა სრულ წესრიგშია და ნიკიც ყოველ წრეზე სულ უფრო სწრაფად დაქროდა. კარგი დასაწყისია.“

მეორე პილოტმა, მსოფლიოს ექსჩემპიონმა ჟაკ ვილნევმა, გარდამავალი, ჰიბრიდულ C24-ით ტრეკს 50-ჯერ შემოურბინა. ისე, პირველ-მეორეობა გუნდში პირობითია — ჰაიდფელდსაც და ვილნევსაც თანაბარი სტატუსი აქვთ.

ბოლიდის შექმნაზე ინჟინრები შვიდი თვე მუხლჩაუხრელად შრომობდნენ. ახალი რეგლამენტის შესატყვისი, რვაცილინდრიანი ძრავა „ათიანზე“ მსუბუქი და კომპაქტურია. ამან კონსტრუქციული ცვლილებები გამოიწვია. დაიწია მანქანის სიმძიმის ცენტრმა, შეიცვალა აეროდინამიკური ელემენტები, აბსოლუტურად ახალია დაკიდულობა. ჩემპიონატის დაწყებამდე ძრავის ვერსია რამდენჯერმე შეიცვლება.

გუნდის ხელმძღვანელობის განცხადებით, წლეულსვე მაღალ შედეგს, ცხადია, არ ელიან. 2006 წელი ფორმულა 1-ში BMW-ს ხანგძლივი პროგრამის დასაწყისია.

პირველი სეზონის მთავარი ამოცანაა ადაპტაცია და გამოცდილების შეძენა.

2005 წელი „ზაუბერმა“ მერვე ადგილზე დასრულა და სწორედ ესაა ათვლის წერტილი. „BMW ზაუბერი“ სადებიუტო ჩემპიონატში ამ შედეგის გაუმჯობესებას გეგმავს, მერე კი გიგანტებსაც შეებრძოლება.

ᲖᲘᲐ ᲐᲮᲐᲚᲐᲫᲔ

BMW ᲖᲐᲣᲑᲔᲠᲘ

გუნდი შეიქმნა 2005 წელს
ფორმულა 1-ის დებიუტანტი
„ზაუბერშა“ 2005 წელს დაიკავა მერვე ადგილი
„BMW ზაუბერის“ დირექტორი, პროფესორი მარიო ტაისენი
ტექნიკური დირექტორი ფილი რაპფფი
კონსულტანტი პეტერ ზაუბერი
ბოლიდი „BMW ზაუბერ F 1.06“
ძრავა „BMW V8“
საბურავები „მიშლენი“
ტესტ-მძღოლი რობერტ კუბიცა (პოლონეთი, 21 წლის)

ჟაკ ვილნევი

ნიკ ჰაიდფელდი

კანადა

დაიბადა 1971 წლის 9 აპრილს
სენ-ჟან-სურ-რიშელიეში
ცხოვრობს მონტე კარლოში
უცოლო
სიმაღლე 168 სმ; წონა 67,კგ
დებიუტი ფორმულა 1-ში:
ავსტრალიის დიდი პრიზი (1996)
152 რბოლა, 11 მოგება,
23 პოდიუმი, 13 პოული,
9 უსწრაფესი წრე, 228 ქულა
მსოფლიოს 1997 წლის ჩემპიონი
2005 წელს — XIV ადგილი (5 ქულა)
გუნდები: „უილიამსი“ (1996-98),
B.A.R. (1999-03), „რენო“ (2004),
„ზაუბერი“ (2005)

გერმანია

დაიბადა 1977 წლის 10 მაისს
მიონხენგლადბახში
ცხოვრობს მონტე კარლოში
უცოლო
სიმაღლე 164 სმ; 59 კგ
დებიუტი ფ1-ში: ავსტრალიის
დიდი პრიზი (2000)
97 რბოლა, 4 პოდიუმი,
1 პოული, 56 ქულა
ჩემპიონატში საუკეთესო შედეგი
— მერვე ადგილი (2001)
2004 წელს — XI ადგილი (28 ქულა)
გუნდები: „პროსტი“ (2000),
„ზაუბერი“ (2001-03), „ჯორდანი“
(2004), „ზაუბერი“ (2005)



AFP ფოტოსურათი

ახალ მანქანას სამნი გახედნიან — ჟაკ ვილნევი, ნიკ ჰაიდფელდი და რობერტ კუბიცა

ავსტრალიის ღია პირველობა 2006

მელბურნი. ჰარდი. საპრიზო 14,6 მილიონი $

მალისს ჩოგანმაც უგანა

როდიკის მოწოდება მოწოდებაა

AFP მელბურნიდან

მზარმოშუშებულ მარია შარაპოვას ახლა ფეხი დაუშავდა

პირველი სენსაციების შემდეგ ავსტრალიის ღია პირველობაზე შედარებითმა სიმშვიდემ დაისადგურა და ყველაფერი თავისი რიგით მიმდინარეობს. განთესილები თითქმის უდანაკარგოდ გავიდნენ მესამე წრეში.

კვლავ ადვილად იმარჯვა ენდი როდიკმა, რომელიც საკმაოდ კარგად გამოიყურება.

საერთოდ, ავსტრალიის ღია პირველობაზე ფავორიტების დიდი ნაწილისთვის საწყისი ორი ეტაპის გადალახვა დიდ პრობლემებთანაა დაკავშირებული. მოგეხსენებათ, რომ სეზონი ამ დროს ახალი დაწყებულია და ჩოგბურთელთა უმრავლესობა თავისი საუკეთესო ფორმისგან შორს იმყოფება. ისინი თანდათანობით უმატებენ და ტურნირის მეორე კვირისთვის უახლოვდებიან ოპტიმალურ ფორმას.

თუმც იგივე ნამდვილად არ ითქმის როდიკზე. მან უკვე მეორე შეხვედრა ჩაატარა და აქედანაც ჩანს, რომ ის კარგადაა მომზადებული. ვესლი მუდისთან ამერიკელმა უაღრესად აკურატულად ითამაშა და მთელი შეხვედრის განმავლობაში მხოლოდ 9 უნებლიე შეცდომა დაუშვა. ამას დავუმატოთ როდიკისთვის ჩვეული ყუმბარისებული ჩაწოდება (მუდისთან ჩაწოდების საშუალო სიჩქარე 205 კმ/სთ იყო) და რაღა გასაკვირია, რომ ამერიკელს მოსაგებად მხოლოდ 78 წუთი დასჭირდა:

„მის მოწოდებაზე კარგად ვითამაშე, რის გამოც მოწინააღმდეგე მუდმივი ზეწოლის ქვეშ მყავდა. ეს ყველაზე მნიშვნელოვანია, თორემ საკუთარი მოწოდების იმედი ყოველთვის მაქვს“ — განაცხადა როდიკმა მატჩის შემდეგ.

დღის უმთავრეს მოულოდნელობად კი შარშანდელი აშშ-ს ღია პირველობის ნახევარფინალისტისა და ავსტრალიაში მე-13 ნომრად განთესილი რობი ჯინეპრის მარცხი იქცა კვალიფიკაციიდან მოხვედრილ დენის გრემელმაირთან. ამ უკანასკნელმა ნამდვილი გერმანული ხასიათი გამოავლინა, რადგან კლასით გაცილებით ძლიერ მოწინააღმდეგესთან პირველი ორი სეტი წააგო, მაგრამ მაინც მონახა საკუთარ თავში საკმარისი ძალები, რომ ეს თითქმის წაგებული შეხვედრა თავის სასარგებლოდ შემოეტრიალებინა.

არც რადეკ შტეპანეკის გამოვარდნას ელოდა ვინმე, მაგრამ კვიპროსელმა მარკოს ბაღდატისმა ასევე ხუთ სეტში მოუგო მე-17 ნომრად განთესილ ჩეხს.

ყველაზე საინტერესო და დაძაბული შეხვედრა კი ტომას იოჰანსონსა და ქსავიე მალისს შორის შედგა. ჩოგბურთელებმა თითქმის ოთხი საათი აწვალეს ერთმანეთი კორტზე და მაყურებელს ნამდვილი ტრილერი შესთავაზეს. ბელგიელმა ყველაფერი გააკეთა, რაც შეეძლო — ბევრი ირბინა, ბევრიც ანერვიულა თავის მეტოქე, ორჯერ ჩოგანი შემოემტვრა და ოთხი მატჩპოინტიც გაუვნებელყო, მაგრამ საბოლოოდ იოჰანსონის გამოცდილებამ მაინც თავისი გაიტანა და შვედმაც მესამე წრეში გააღწია.

ყოველგვარი მოულოდნელობების გარეშე ჩაიარა ქალების ტურნირმა და ყველა ფავორიტმა მოახერხა მესამე წრეში გასვლა.

ლინდს დევენპორტმა, ჟუსტინ ენინ-არდენმა და მარია შარაპოვამ ფაქტობრივად ერთნაირი სცენარით ჩაატარეს შეხვედრები. მათ მოწინააღმდეგეებმა მხოლოდ თითო სეტში გაუწიეს წინააღმდეგობა, მთლიანობაში კი სამივემ საკმაოდ შთამბეჭდავი თამაში ითამაშეს.

ამათგან ყველაზე ძლიერია მარია შარაპოვა, რომელმაც ეშლი ჰაკელროდთან შეხვედრაში სამჯერ გამოიძახა ექიმი.

როგორც ცნობილია, მარიას მხრის ტრავმა უკვე დიდი ხანია აწუხებს და თამაშში საკმაოდ უშლის ხელს, მაგრამ ამჯერად რუსს ექიმი გაცილებით მსუბუქი დაშავების გამო დასჭირდა, მხარი კი, საბედნიეროდ, აღარ აწუხებს, რაც მისი შედეგებიდანაც კარგად ჩანს.

პირველი წრისგან განსხვავებით სერენა უილიამსს მეორე თამაშის მოგება არ გასჭირვებია. ამერიკელმა კამელი პინს მხოლოდ ოთხი გეიმი დაუთმო და კიდევ ერთი პატარა ნაბიჯი გადადგა ტიტულის დასაცავად:

„თავს მშვენივრად ვგრძნობ... პირველ წრესთან შედარებით, თამაში ოდნავ გამოვასწორე... წინა მეტოქე სულ სხვა სტილის მოთამაშე იყო, რაც ჩემთვის მოულოდნელი აღმოჩნდა და ამიტომ ვიწვალე სამი სეტის განმავლობაში“ — როგორც ყოველთვის, ამჯერადაც მეტად თავდაჯერებული იყო უმცროსი უილიამსი.

აი, სერენას დის, ვინუსის გამამწარებელი ცვეტანა ონდრასკოვა კი მელბურნის კორტებს მხოლოდ ორი დღითღა შემორჩა. შავტუხა ამერიკელის დამარცხებით აღტყინებული ბულგარელი ცოდვილ დედამიწაზე ლაურა გრენვილმა სულ რაღაც საათნახევარში დააბრუნა (უფრო დაახეთქა) და კიდევ ერთხელ გაამყარა წარმოდგენა, რომ ონდრასკოვასთან უილიამსმა მხოლოდ თავისი შეცდომების გამო წააგო.

ორშაბათს ასპარეზობას გამოეთიშა მეორე დიდი სენსაციის შემოქმედი ჯულია შრუფიც. ელენა დემენტიევას გაგდების შემდეგ გერმანელმა ალბათ არად ჩააგდო კიდევ ერთი რუსი და კიდევ ერთი ელენა, ამჯერად ვესნინა და მწარედაც ინანა. ვესნინამ საკმაოდ იოლად, 6:0 7:5 იმარჯვა და შემდეგ წრეში უკრაინელ ოლგა სავჩუკს შეხვდება.

დაბოლოს, კვლავ დიდი წამებწვალებით გააღწია შემდეგ წრეში სვეტლანა კუზნეცოვამ. რუსს არც ამჯერად უჩვენებია კარგი თამაში — მან 50 უნებლიე შეცდომა დაუშვა და მხოლოდ იმის გამო მოიგო, რომ მეტოქემ მას ამ მაჩვენებელში აჯობა.

კახა ლომაშვილი

AFP მელბურნიდან

დენის გრემელმაირმა ნამდვილი გერმანული ხასიათი გამოავლინა

AFP მელბურნიდან

ტომას იოჰანსონის გამოცდილებამ თავისი გაიტანა

მეორე წრე

კაცები

ფაბრის სანტორო (საფრანგეთი) — ანდრეი პაველი (რუმინეთი) — 6:4 6:1 6:4; **გასტონ გაუდიო** (არგენტინა, 8) — ლარს ბურგსმიულერი (გერმანია) — 6:3 6:2 6:3; **მარიო ანჩიჩი** (ხორვატია, 18) — იან ჰერნიხი (ჩეხეთი) — 6:1 6:4 6:7 6:2; **ჯეიმს ბლეიკი** (აშშ, 20) — ჟან-კრისტოფერ ფორელი (საფრანგეთი) — 2:6 6:1 6:4 6:3; **იარკო ნიემინენი** (ფინეთი, 26), — ი-ცუ ვანგი (ტაივანი) — 6:2 7:6 6:2; **ივან ლიუბიჩიჩი** (ხორვატია, 7) — ფილიპ კოლშრაიბერი (გერმანია) — 7:5 6:2 6:1; **ფელიციანო ლოპესი** (ესპანეთი, 31) — ჟილ მიულერი (ლუქსემბურგი) — 6:2 6:4 6:7 6:4; **დენის გრემელმაირი** (გერმანია) — რობი ჯინეპრი (აშშ, 13) — 2:6 5:7 6:4 6:3 6:3; **მარკოს ბაღდატისი** (კვიპროსი) — რადეკ შტეპანეკი (ჩეხეთი, 17) — 6:4 6:3 3:6 0:6 7:5; **ჟულიენ ბენეტო** (საფრანგეთი) — გილერმო გარსია-ლოპესი (ესპანეთი) — 6:7 7:6 6:1; **ენდი როდიკი** (აშშ, 2) — ვესლი მუდი (სამხრეთ აფრიკა) — 7:5 6:3 6:2; **ჟილ სიმონი** (საფრანგეთი) — ტომაშ ბერდიხი (ჩეხეთი, 19) — 6:3 6:2 4:6 6:2; **ტომი რობრედო** (ესპანეთი, 16) — დმიტრი ტურსუნოვი (რუსეთი) — 7:6 3:6 7:6 6:3; **ტომას იოჰანსონი** (შვედეთი, 10) — ქსავიე მალისი (ბელგია) — 6:3 3:6 7:5 4:6 6:3; **დავიდ ნალბანდიანი** (არგენტინა, 4) — სტანისლას ვავრინკა (შვეიცარია) — 6:4 3:6 6:4 6:2

ქალები

ლინდსი დევენპორტი (აშშ, 1) — კაროლინა შპრემი (ხორვატია) — 7:6 6:3; **მარია კირილენკო** (რუსეთი) — გალინა ვოსკობოევა (რუსეთი) — 7:6 6:4; **მარა სანტანჯელო** (იტალია) — კატარინა სრებოტნიკი (სლოვენია) — 7:6 5:7 6:3; **ლაურა გრენვილი** (აშშ) — ცვეტანა პორინკოვა (ბულგარეთი) — 7:5 6:2; **ვირჯინია რაზანო** (საფრანგეთი) — კონჩიტა მარტინეს გრანადოსი (ესპანეთი) — 7:6 6:3; **დანიელა ჰანტუხოვა** (სლოვაკეთი, 17) — აკგულ ამანმურადოვა (უზბეკეთი) — 6:4 6:1; **ელენა ვესნინა** (რუსეთი) — ჯულია შრუფი (გერმანია) — 6:0 7:5; **ოლგა სავჩუკი** (უკრაინა) — ელენა იანკოვიჩი (სერბია-ჩერნოგორია, 23) — 6:4 6:3; **ნადია პეტროვა** (რუსეთი, 6) — მარტინა მიულერი (გერმანია) — 6:4 6:1; **მარია-ელენა კამერინი** (იტალია) — ეკატერინა ბიჩკოვა (რუსეთი) — 4:6 7:6 6:2; **სვეტლანა კუზნეცოვა** (რუსეთი, 14) — არანტა პარა სანტონია (ესპანეთი) — 6:4 6:7 6:2; **ჟუსტინ ენინ-არდენი** (ბელგია, 8) — ჰანა შრომოვა (ჩეხეთი) — 7:6 6:1; **ვირჯინია რუანო-პასკუალი** (ესპანეთი) — ელენა ლიხოვცევა (რუსეთი, 18) — 6:4 6:4; **ელენა კოსტანიჩი** (ხორვატია) — ზუზანა ონდრასკოვა (ჩეხეთი) — 6:2 6:1; **სერენა უილიამსი** (აშშ, 13) — კამელი პინი (საფრანგეთი) — 6:3 6:1; **მარია შარაპოვა** (რუსეთი, 4) — ეშლი ჰარკლეროდი (აშშ) — 6:1 7:5

გავამწარეთ ხოკუტორიკი

ძალიან კი გვინდოდა იმპერატორის თასისკენ მიმავალი ლიდერთა ტრიო გუშინ გადუეტებულიყო, მაგრამ ამ საქმიდან არაფერი გამოვიდა. ლეკან ცაგურიამ იანვრის ბაშოზე მორიგი სენსაცია ვერ გამოაცხო — ოძეკი ტოჩიაძუმასთან ტოლ-სწორად ჭიდაობის მიუხედავად, მაინც წააგო.

ამ ბრძოლას ბაშოს მიმომხილველმა სპეციალურმა ვებ-გვერდმა განსაკუთრებული ყურადღება დაუთმო. „ოძეკის 165-კილოგრამიანი დასავლეთის მეორე მაგაშირას წაქცევა გვარიანად გაუჭირდა. შეხვედრა სულაც კოკაის მძლავრი ცუპარებით დაიწყო და ქართველს გამარჯვებამდე თითქოს წამები აცილებდა, მაგრამ ტოჩიაძუმამ შეტევას გაუძლო და მოშვებიანი კონტრილეთიც გააკეთა“ — წერენ სპეციალისტები.

მორიგი გამარჯვებები იზეიმეს აღმოსავლეთის მეთერთმეტე მაეგაშირა ხოკუტორიკიმ და იოკოძუნა ასასიორუმაც. ამ ორს და ტოჩიაძუმას ცხრა შეხვედრაში რვა ქულა მოუპოვებიათ. დღეს ხოკუტორიკის ათში რვა უნდა დარჩეს. ის კოკაის ხვდება.

ოთარ ფალლაკელიძე

დათვები გაფანკებას აპირებენ

ბაფრი კეთილაძის ფოტო

სანამ საქართველოს ნაკრების მწვრთნელები 4 თებერვალს გასამართი ევროპის ერთა თასის სარუსეთო ჯახის რაზმს გამოაცხადებენ, რუსებმა უკვე დაიწყეს მზადება და საწვრთნელო ბანაკი სამხრეთ აფრიკაში, პრეტორიიდან 150 კილომეტრში გაშალეს.

როგორც იცით, რუსებს სამხრეთაფრიკელი მთავარი მწვრთნელი ბრიკის იოჰანეს ხრუნევოლდი ჰყავთ, ეს კაცი კი მანამდე ზე-14-ის პრეტორიის „ბლუ ბულზის“ უკანა ხაზის მწვრთნელი იყო.

გეხსომებათ „ბლუ ბულზი“ შარშანწინ თბილისში იყო 21-დღიანი სამმატჩა ტურნეზე. მაშინ აფრიკელებმა „სარბიელთან“ და ქართულ სარაგბო სახლთან დამეგობრებაც მოასწრეს. როდესაც რუსთა ახალ მწვრთნელზე „ბლუ ბულზის“ თავკაცმა ჰაიკე მაიერმა, ფიზმომზადებას მწვრთნელმა ვასილი კარზისმა და გუნდის ლიდერმა ხიო კრონხემ დაწვრილებითი ინფორმაცია მოგვაწოდეს, მაშინვე დაგვპირდნენ, რომ „დათვების“ ბანაკიდან ცხელ-ცხელი ამბებს არ მოგვაკლებდნენ, მით უმეტეს, რუსები „ბულზების“ სათადარიგო ბაზაზე ემზადებიან.

წარმოშობით ბერძენმა ვასილი კარზისმა სიტყვა შეასრულა და ციმბირელთა ბანაკიდან ეს რეპორტაჟი გამოგვიგზავნა

ვასილი კარზისი
პრეტორიიდან

რუსეთის ნაკრები ჩვენი კლუბის სათადარიგო ბაზაზე დაბინავდა, სადაც სასტუმროსთან ერთად ორი სავარჯიშო და ორიც სათამაშო მოედანია. იქვეა ჩვენი კლუბის სარაგბო აკადემია, სადაც სამხრეთ აფრიკის სხვადასხვა კუთხიდან ჩამოგვყავს პერსპექტიული ბიჭები.

სათადარიგო ბაზა დედაქალაქ პრეტორიიდან 150 კილომეტრის დაშორებით, პროვინცია ჩრდილოეთ ტრანსვაალშია.. ეს პროვინცია წვიმიანობით გამოირჩევა. რუსების ჩამოსვლამდე ათი დღე გადაულებლად წვიმდა და სამი დღეა, გამოიდარა. ასე რომ, რუსებს ძალიან გაუმართლათ.

იცით, რომ რუსთა ახალი მწვრთნელი „ბულზის“ უკანა ხაზის დამრიგებელი იყო. სწორედ მისი თხოვნით მოხერხდა მათი 13-დღიანი კემპის მოწყობა. თქვენი მეტოქეები 15 იანვარს ჩამოვიდნენ და 28 იანვარს დაბრუნდებიან უკან. მათი 13-დღიანი პროგრამა ასეთია: დღეში ორჯერად ვარჯიშებს ხვალ დაასრულებენ. 21 იანვარს ჩვენს კლუბთან ექნებათ ტესტ-მატჩი, 22-ში თეორიულ მეცადინეობას ჩაუტარებენ ჩვენი მწვრთნელები. 23-24-ში „რაშტენბურხის“ ბაზაზე ორდღიანი წვრთნა იქნებათ. თუ რა სახის, ამაზე ქვემოთ გეტყვით. 24-25-ში „ბულზთან“ ორდღიანი ერთობლივი ვარჯიში ჩატარდება. 26-27-ში ისევ დღეში ორჯერად ვარჯიშზე გადავლენ. 28-ში ტესტ-მატჩს ითამაშებენ ზე-14-ის გუნდ „ფალკონზთან“ და სამშობლოში დაბრუნდებიან.

ხრუნევოლდის ვარჯიშებს დავესწარით და რჩევებიც მივეცით. რუსები საკმაოდ კარგად არიან მომზადებულები, ოღონდ ტექნიკურად მოიკოჭლებენ, განსაკუთრებით მორკინალები. მათი გაბარიტების და ამტანობის პატრონებმა თუ ტექნიკაც დახვეწეს, ჩათვალეთ, რომ ნამდვილი ტანკები დაუდგებიან ქართველებს. მორკინალთა ნაკლის გამოსასწორებლად ხრუნევოლდი საგანგებოდ მოაწყობს ორდღიან ტესტვარჯიშებს. 23-24 იანვარს რუსთა შერკინებას „რაშტენბურხის“ ბაზაზე ჩვენი კლუბის შერკინების მწვრთნელი და მორკინალები ავარჯიშებენ და ტესტებსაც ჩაუტარებენ.

შედარებით ძლიერი რგოლი რუსთა უკანა ხაზია. თავად ხრუნევოლდი ამ რგოლის სპეციალისტია და თვითონ ის ფაქტი, რომ ზე-14-ის გუნდში სწორედ ამ კუთხით მუშაობდა, უკვე მრავლისმთქმელია.

ხრუნევოლდის ვარჯიშის აღწერას არ მოვყვები, რადგან თითქმის ჩვენი წვრთნის იდენტურია, ხოლო ჩვენი ვარჯიშების ამბავი ქართველ მწვრთნელებს კარგად მოეხსენებათ. თბილისში ყოფნისას რამდენიმე ღია ვარჯიში ჩავატარეთ და თქვენ მწვრთნელებს თეორიული სემინარებიც მოვუწყვეთ. ასე რომ, მათ ამით შეექმნებათ შთაბეჭდილება რუსეთის სამზადისზე.

ამ რამდენიმე დღის წინ ხრუნევოლდის თაობაზე რომ დამიკავშირდით, მაშინ გითხარით, ის თავისი საქმის პროფესიონალია. ამის დასტურად მისი, ასე ვთქვათ, მოედნის მიღმა „ვარჯიშებიც“ გამოდგება. საქართველო-რუსეთის მატჩს ფრანგები იმსაჯებენ. ხრუნევოლდმა თავისიანებს საფრანგეთის ჩემპიონატის მატჩები აყურებინათ და ყურადღება მსაჯის მოქმედებაზე გაამახვილებინა. ხრუნეველოდს აქ 31 მორაგბე ჰყავს ჩამოყვანილი და არც ერთი მათგანი ლეგიონერი არაა. ამიტომაც ეტყობა ევროპულ მსაჯობას მიჩვეულები არ არიან. ტესტ-მატჩებამდე არაფერი დარჩა, თუმც ვარჯიშებზეც გამოჩნდა, რომ რუსებს აშკარად უჭირთ მოლში და მიწაზე თამაში. დაკვირვებული თვალი იოლად შეამჩნევს, ამ დროს რუსები წესებს არღვევენ. სამაგიეროდ, რუსები ძლიერები არიან აუტებში. 3-4 მაღალი მხტომელი ჰყავთ და ხრუნევოლდის მეცადინეობით დერეფანში ბურთის მოგების ათამდე ვარიანტიც დაამუშავეს.

ზემოთ ლეგიონერები ვახსენე. ხრუნევოლდმა პირად საუბარში გვითხრა, რომ რუსებს ჰყოლიათ ორი ძლიერი ლეგიონერი და ორივე საფრანგეთში თამაშობს. ესენი „ბაიონის“ მორკინალი ვიაჩესლავ გრაჩოვი და „ლიონის“ 10 ნომერი კონსტანტინ რაჩკოვი არიან. ხრუნევოლდის თქმით, ორივეს თბილისში აუცილებლად წამოიყვანს.

რეგულარული ჩემპიონატი

მოუთვინიერებელი და მოულოდნელი ქარიშხალი

17 იანვარი

ფილადელფია 3:4 კაროლინა
0:0 1:0 2:3 0:0 0:1
ბულიტების სერიაში
1:0 კარტერი (33), 2:0 იუნსონი (44), 2:1 კალენი (44), 3:1 მეიერი (47), 3:2 ტვერდოვსკი (49), 3:3 კოული (57), 3:4 გადამწყვეტი ბულიტი: ბრინდამორი

ახალი წლის შემდეგ „ქარიშხლების“ ათამაშშება ლიგის უმრავლესი გუნდისთვის მეტად მოულოდნელი აღმოჩნდა. უკვე 8 თამაშია, „კაროლინას“ ვერავინ აჩერებს და სატურნირო ცხრილში თანდათან აღზევებული გუნდი უკვე ჩემპიონატის ერთპიროვნული ლიდერია. ამჯერად ქარიშხალს ვერც აღმოსავლეთის ბობოლა „ფილადელფია“ გადაურჩა. სტუმრებმა უკვე მერამდენედ დაამტკიცეს, რომ მათთვის ერთი-ორ შაიბიანი სხვაობა ადვილი დასაძლევია. მათ ამჯერადაც შეძლეს ანგარიშის გათანაბრება და ბულიტების სერიაში გამარჯვებაც მოიპოვეს.

„კაროლინას“ ბულიტების ოთხი ოსტატი ჰყავს — მათგან ამ მატჩში სამმა გამოიჩინა თავი.

სენტ ლუისი 3:5 ნიუ ჯერსი
0:2 1:1 2:2
0:1 ჯიონტა (4), 0:2 ჯიონტა (12), 0:3 მედვენი (29), 1:3 უაიდმენი (31), 2:3 უეიტი (45), 3:3 სილინჯერი (47), 3:4 მარშალი (52), 3:5 პანდოლფო (60)

ნიუ ჯერსის სახელოვანმა მეკარემ, მარტინ ბროდომ, მორიგი მოგების წყალობით თავისი გამარჯვებების ნუსხა 424-მდე გაზარდა და ლიგის ისტორიაში მე-5 საუკეთესო მეკარეს, ლეგენდარული ფილ ესპოზიტოს ძმას, ტონის გაუსწორო.

აღსანიშნავია, რომ ეს „ეშმაკების“ ზედიზედ მეშვიდე მოგებაა, რის შემდეგაც გუნდმა საგრძნობლად გაუმჯობესა თავისი სატურნირო მდგომარეობა. არადა, ახალი წესების შემოღების გამო, გუნდს ჩემპიონატის პირველ ნახევარში საკმაოდ გაუჭირდა, მაგრამ „ეშმაკები“ ნელ-ნელა შეეგუენ ახალ ვითარებას და ძველებურად ათამაშდნენ.

ისე, ამჯერად სტუმრებმა ლამის ხელიდან გაუშვეს მოგება. მას შემდეგ, რაც 3:0-ს იგებდნენ, მეტოქემ სამი შაიბა გაუტანა, მერე კი ჰეპატიტისგან განკურნებულმა პატრიკ ელიაშმა (3 პასი) ზუსტი პასი გადააწოდა გრანტ მარშალს, ჯეი პანდოლფომ კი ცარიელ კარში შეაგდო და გუნდი გადაარჩინა.

კოლორადო 5:3 ტორონტო
1:2 4:0 0:1
0:1 ელისონი (1), 1:1 ტანგეი (17), 1:2 ონილი (17), 2:2 ჰეიდუკი (29), ჰეიდუკი (29), 4:2 მაკორმიკი (33), 5:2 სვატოში (39), 5:3 სუნდინი (55)

ჩიკაგო 1:2 აილენდერსი
0:0 1:1 0:0 0:1
0:1 იაშინი (29), 1:1 ვანდერმეერი (37), 1:2 კვაშა (64)

ლოს ანჯელესი 1:4 ტამპა
1:1 0:2 0:1
0:1 სან ლუი (7), 1:1 ბრაუნი (16), 1:2 ლეკავალიე (29), 1:3 ფედოტენკო (35), 1:4 მილი (59)

სამგელ ღარიბიანი

ტურინული ამბავ-ხაბარი

„თეთრი ოლიმპიადის“ გახსნის საზეიმო ცერემონიალი 10 თებერვალს ახალ ოლიმპიურ სტადიონზე გაიმართება, რომელიც ყოფილი საფეხბურთო სტადიონის STADIO COMUNALE-ს ადგილზე აიგო. თუმცა, პირველი რეკორდი უკვე აღინიშნა. ოლიმპიური სტადიონის თავზე აღიმართა მთელი ოლიმპიადების ისტორიაში ყველაზე მაღალი ფიალა, რომელშიც ოლიმპიური ცეცხლი აგიზგიზდება.

ეს ნაგებობა ცნობილი იტალიელი დიზაინერის პინინფარინის პროექტითაა დამზადებული და იგი 57 მეტრზე, 20 სართულიანი სახლის სიმაღლეზეა ამართული.

* * *

როგორც იქნა, მოიწონეს ტურინის ზამთრის ოლიმპიური თამაშების ბიუჯეტი, რომელიც სახელმწიფომ შეამცირა 96 მილიონ დოლარამდე.

ოლიმპიადის ორგანიზატორებმა, ბოლოს და ბოლოს, დააინტერესეს სპონსორები და დამხმარე ღონისძიებების წყალობით გამონახეს ის თანხაც, რომელიც ბიუჯეტს მოისაკლისებდა.

ოლიმპიადის ორგანიზატორები ელიან, რომ ბიუჯეტს 24 მილიონი დოლარი ოლიმპიური ლატარიის გათამაშებადან შემოსული თანხიდან დაემატება. ამას გარდა, ოლიმპიადის ორგანიზატორებმა წინასწარ გაყიდეს ოლიმპიური სოფლის ფართობი, რომელიც თამაშების დამთავრების შემდეგ გათავისუფლდება.

ოლიმპიადის საერთო ბიუჯეტი 3,6 მილიარდ დოლარზე მეტით არის შეფასებული.

* * *

გერმანელებს, რომლებიც ტურინის ზამთრის ოლიმპიურ თამაშებზე 170-კაციანი სპორტსმენთა გუნდით იასპარეზებენ, კვლავ მიზნად დაუსახავთ მედლების საერთო რაოდენობის მხრივ ყველას ავჯობონ. ისევე, როგორც ეს ოთხი წლის წინათ სოლტ ლეიკ სიტში მოხდა.

შეგახსენებთ, რომ 2002 წლის „თეთრ ოლიმპიადაზე“ გერმანელებმა 12 ოქროს, 16 ვერცხლის და 7 ბრინჯაოს მედალი მოიპოვეს. მათ ასეთი მაჩვენებლით უკან ჩამოიტოვეს ნორვეგიისა და აშშ-ს გუნდები.

„ჩვენი ამოცანაა, კვლავ დავამტკიცოთ, რომ გერმანია სპორტის ზამთრის სახეობებში მსოფლიოს ლიდერია“ — ამბობს ამ ქვეყნის ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის პრეზიდენტი კლაუს შტეინბახი.

— ჩვენი ძირითადი მეტოქეები ტურინში იქნებიან ნორვეგიელები, ხოლო ზოგიერთ დისციპლინაში უნდა შეგვაფიქრიანონ კანადისა და რუსეთის წარმომადგენლებმა, რომელთა პოტენციალი ძალიან დიდია“.

ფრანგული მზადება



AFP ლიონიდან

იზაბელ დელიერი და ოლივიე შონფელდერი ჯერჯერობით მხოლოდ ვარჯიშობენ. ფრანგულ წყვილს იმედი აქვს, რომ მოახლოებულ ევროპის ჩემპიონატზე, ლიონში რომ გაიმართება, უმეტლოდ არ დარჩება.

მელბურნის ბურთები



მელბურნში ავსტრალიის ღია პირველობა მიმდინარეობს. კარგი ჩოგბურთის ჭვრეტა ბევრს უნდა და საამისო ადგილიც მოიძებნა. ნაირგვარ სახალისო ღონისძიებებზე კი სპონსორები ამოტოლა ჩოგნებს და ნესვივით ბურთებს სთავაზობენ მოლაღეებს.



გერმანიის ბურთი

ეს „გერმანიის ბურთია“, რომელსაც მსოფლიოს მრავალ ქალაქში დადგამენ სანამ მსოფლიოს ჩემპიონატი დაიწყება. პირველი ასეთი ქალაქი პარიზია, სადაც, ტროვადეროზე თავად ქალაქის მერი ბერტრან დელანო მოვა, რათა ბურთი დააფასოს.

AFP მელბურნიდან

AFP პარიზიდან

დამხეთქებელი

პიტსბურგელ ქოჩორას ტროი პოლამალუს, ოკეანეთში რომ დაუფლებია საბურთაო ოსტატობას, ერთი კაცის გაჩერება არად უჩანს. არც ქოჩორი უშლის ხელს, რომ ინდიანაპოლისელი ბრაიან ფლეტჩერი ბურთიანად დაახეთქოს.

AFP ინდიანაპოლისიდან

სარბიელი
სპორტული გაზეთი

გამოიცემა 1990 წლის 28 დეკემბრიდან

გამოდის ორშაბათს, სამშაბათს, ოთხშაბათს, ხუთშაბათს, პარასკევს და შაბათს

გამომცემელი ზურაბ ფოცხვერია
დირექტორი გიორგი ოქრომჭედლიძე
მთავარი რედაქტორი თამაზ მიგრიაული
პასუხისმგებელი რედაქტორი კახა შალამბერიძე
ტექნიკური რედაქტორი მამუკა გუბელაძე
ქართული ფეხბურთის რედაქცია: დავით თავართქილაძე, კობა ინასარიძე, ილია ნანობაშვილი, გიორგი ნოზაძე
უცხოური ფეხბურთის რედაქციის რედაქტორი: ვაჟა ხუციშვილი
უცხოური ფეხბურთის რედაქცია: გიორგი ახვლედიანი, ილია ბაბუნაშვილი, გიორგი დარჯანია, გიორგი ვაშაკიძე, გიორგი კაკაბაძე, ლადო ხომერიკი
ინფორმაციის რედაქცია: გია ახალაძე, ავთანდილ გურასაშვილი, ოთარ მაღლაკელიძე, ირაკლი პერტაია, ბაჩო სვანიძე
ფოტორეპორტიორები: გურამ დოლენჯაშვილი, ბადრი კეთილაძე
სტილისტები: ნათელა გიორგობიანი, ლალი გოზალიშვილი
კომპიუტერული ცენტრი: ლეილა ბეგლაროვა, ლია ბესელია, ხათუნა ბუხუნიშვილი, თამაზ გოგებაშვილი, ფატი დვალიშვილი, მაგდა დოგრაშვილი, რუსუდან ერისთავი, ზვიად მოსიაშვილი, თამარ ქინქლაძე, ზურაბ წერეთელი

სარეკლამო სამსახური: 38-11-14, 877 54 55 00

რედაქციის მისამართი:
თბილისი, ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული.
საფოსტო მისამართი:
თბილისი — 79, საფოსტო ყუთი 208. ტელეფონი: 39 48 29
ელექტრონული ფოსტა
sarbieli@gol.ge
ელექტრონული ვერსია
http://www.sarbieli.com.ge